ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 9 ივნისი, 2022 №112 (8890) ფასი: 80 თეთრი

„ვერავის ვერ გადაულუნოთ, დავაი, დაახვიეთ“

როგორ მიმართა რიჟვაძემ ოპოზიციას

გვ.2

„ოპოზიცია ცალკე უბედურებაა“

„ოცნებას“ თუ დასჭირდა, ბრძოლას გამოაცხადებენ, თუ დასჭირდათ, ერთ ადგილზე აკოცებენ“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „რიგგარეშე არჩევნები რომ დაინიშნოს, რას იზამს 2%-იანი პარტია? ბაქიბუქობენ და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ, რის იმედით?!“

„მივმართავ ზურაბიშვილს, მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება და ნიკა გვარამია შეიწყალეთ!“



გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ“ განიზრახა სალომე ზურაბიშვილის დამორჩილება, მაგრამ არ გამოუვიდათ“

„კობახიძე გაბრაზდება თუ განაწყენდება, ეს არავის არ უნდა აღელვებდეს. თუ ეწყინება, ცივი წყალი დალიოს, ცივ ბორჯომს ვერ შევთავაზებ, ქარხანა დახურულია“

გვ.3

გვ.4

პუტინის ოპონენტი კასპაროვი დასავლეთს უკრაინისათვის შეიარაღების გადაცემის გაჭიანურებაში ადანაშაულებს

გერმანელი სამხედრო ექსპერტები: „მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეიარაღების გაგზავნა გვიანდება, არასწორია“

იაგო ხვიჩია: „ნაციონალური მოძრაობა“ რომ აღარ არსებობდეს ახლა, ყველასთვის კარგია“

გვ.3

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება“ ჩემზე ფიზიკურ თავდასხმას გეგმავს“

5 ბათუმში 19 წლის გოგო ქორწინების მიზნით გაიტაცეს
დაკავებულია 2 პირი

4 დაანგესებენ თუ არა ქართული რესტორნები „შეფარულ“ გადასახადს?!

6 უკრაინა ხერსონის ოლქში წარმატებულ კონტრშეტევებს ახორციელებს

5 „ბორჯომში“ გაფიცვა და პიკეტი გრძელდება

3 მორგოშია: „მდინარაძე ჩემი ადვოკატი იყო“

1993230720223

„ოპოზიცია ცალკე უბედურებაა“

გია ხუხაშვილი: „რიგგარეშე არჩევნები რომ დაინიშნოს, რას იზამს 2%-იანი პარტია? ბაქიბუქობენ და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ, რის იმედით?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს?

– რაღა უნდა შევაფასო, ცოცხალი ადგილი აღარ დარჩა, რა არის აქ შესაფასებელი, თავზე იმხობენ ყველაფერს.

– ევროკავშირის გადაწყვეტილების მოლოდინში ვართ და „ქართული ოცნება“ კი მაქსიმალურად ცდილობს სიტუაცია დაძაბოს და გააფუჭოს ყველაფერი. ახლა პრეზიდენტის თემა წამოწიეს. ზურაბიშვილი იტალიაში შეხვედრებს მართავს, „ოცნებამ“ კი საკონსტიტუციო სასამართლოში მის წინააღმდეგ საქმის განხილვა წამოიწყო. რა უნდა „ოცნებას“, რის მიღწევას ცდილობს?

– „ოცნებას“ უნდა ერთადერთი რამ, შეინარჩუნოს ძალაუფლება და კეთილდღეობა! „ოცნებას“ სხვა ამოცანები არა აქვს. მხოლოდ თვითგადარჩენა და ხელისუფლებაში ყოფნა. მათ სხვა ამოცანა არც ქონიათ და არც დღეს არა აქვთ. ისინი თავის წარმოდგენებით, რაც სჭირდებათ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, მხოლოდ იმას აკეთებენ, სხვას არაფერს.

– ამის გამო ბრძოლას გამოუცხადებენ ყველას და ყველაფერს?

– თუ დასჭირდათ, ბრძოლას გამოუცხადებენ, თუ დასჭირდათ, ერთ ადგილზე აკოცებენ. ამის პრობლემა არა აქვთ, რაც დასჭირდება ძალაუფლების შენარჩუნებას, ყველაფერზე წამსვლელები არიან. სულ ესაა, მეტი არაფერი.

– და ამ ყველაფერზე თვალს დახუჭავს ევროკავშირი?

– სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვხედავ ლოგიკას, „ოცნება“ როგორც იქცევა, რომ მათ უნდოდეთ მაინცდამაინც ევროკავშირში გაწევრიანება. ამ სურვილს ვერ ვხედავ. თუ შენ ასეთი სურვილი გაქვს, იმიტაცია მაინც უნდა მოახდინო, რომ იქით მიდიხარ, რაღაცას უჯერებ, რომ იმ სტანდარტებისკენ რაღაც ნაბიჯებს დგამ. ესენი კი ყველაფერს საწინააღმდეგოდ აკეთებენ. შესაბამისად, რა ლოგიკით უნდა ვიფიქრო მე, რომ მათ სტატუსის მიღება უნდათ. ეს განაცხადიც, ჩემის აზრით, იძულებით შეიტანეს. რადგან, რომ არ შეეტანათ, არ შეიძლებოდა, ეს ძალიან ცუდად გამოჩნდებოდა.

– რატომ არ უნდათ სტატუსი, ეს მათ პოზიციებს შეარყევს თუ ბევრი დავალება ექნებათ შესასრულებელი?

„ოცნებას“ თუ დასჭირდა, ბრძოლას გამოაცხადებენ, თუ დასჭირდათ, ერთ ადგილზე აკოცებენ“

– მე არ ვამბობ, რომ შეარყევს. ისინი ცდილობენ, თუ არ მიგვიღებენ, დააბრალონ მოწინააღმდეგეს, მიგვიღებენ და დაიბრალონ თვითონ. მიღება რაღაცა ფასეულობაა მათთვის, უნდათ და სჭირდებათ, ეს არ იგრძნობა.

– ევროკავშირიდან რა მოლოდინები გაქვთ ამ ყველაფრის ფონზე? თუ მოგვცეს სტატუსი, ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება?

– რა თქმა უნდა. ევროკავშირი ჩვენთან დაკავშირებით უფრო ამოვა გეოპოლიტიკური ინტერესიდან და არა იმიტომ, რომ რაღაც სტანდარტებს ვაკმაყოფილებთ. სამწუხაროდ, არ შევესაბამებით ამ სტანდარტებს, არანაირად.

– სალომე ზურაბიშვილთან დაპირისპირებაზე რას იტყვით?

– ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან წვრილმანია და არ შევალ ასეთ დეტალებში. ხან გაიბუტებიან და გამოიბუტებიან. მერე ისევ შერიგდებიან. ახლა ამის კომენტირება როგორ დავიწყო.

– შესაძლოა დააყენონ მისი იმპიჩმენტის საკითხი?

– იმპიჩმენტისთვის არა აქვთ მყარი უმრავლესობა, ის რაც სჭირდება იმპიჩმენტს. რომც დააყენონ ეს საკითხი, სპექტაკლი გამოვა საბოლოო ჯამში და მეტი არაფერი.

– ვაოცებთ დასავლეთს ჩვენი ეკონომიკით და დემოკრატიითო, ირაკლი ღარიბაშვილმა.

– კი, ისეთი სურათი დახატა, რომ მე მგონი, ევროკავშირი უნდა ითხოვდეს საქართველოსთან შემოერთებას. ყველაფერში გაგვისწრია ევროკავშირისთვის, როგორც ღარიბაშვილი ამბობს.

– რომელ დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, განსხვავებული აზრისთვის თავს ესხმიან პოლიტიკოსებს. ახლა გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ მასზე თავდასხმას ამზადებენ „ქართული ოცნება“. ეს რაში ჯდება საერთოდ?

– სიძულვილი, დაპირისპირება, ეს არის ერთადერთი ინსტრუმენტი ხელისუფლების. ურა-პატრიოტიზმის დანერგვა, ბრბოს ინსტინქტების ბოროტად გამოყენება, ესაა მათი ინსტრუმენტები, ასე მოქმედებენ. სხვა არაფერი არ იციან, პოზიტიური დღის წესრიგი არა აქვთ. რეალურად რამე უკეთესობისკენ შეცვალონ, არ შეუძლიათ. ამიტომ ისევ სიძულვილსა და დაპირისპირებაზე აგებენ თავის პოლიტიკას.

– სახალხო დამცველის განცხადება მოვისმინე, პრეზიდენტს მიმართავს ნიკა გვარამიას შეწყალებით. გაქვთ მოლოდინი, რომ შეიწყალებს?

– მე ვფიქრობ, რომ ეს სწორი მიმართვაა, იმიტომ, რომ დღეს იხილება ევროპარლამენტში საქართველოში მედიის მდგომარეობის საკითხი. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კანდიდატობის საკითხი წყდება დღეს, კარგი იქნებოდა, ამ ტიპის ნაბიჯებით, თუნდაც რაღაც თემები მაინც ამოვარდნილიყო დღის წესრიგიდან. გვარამიას გათავისუფლება ამ საქმეს ნამდვილად წაადგებოდა. ასე ჩათვალა სახალხო დამცველმა. მიღების წინ, ეს არის ერთ-ერთი ის საკითხი, რის გამოც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ჩვენთვის სტატუსის მონიჭება. სიმართლე გითხრათ, მე არა მაქვს იმედი პრეზიდენტის ქმედებებში. პრეზიდენტის რიტორიკა, კი ბატონო, შეიძლება მოგვწონს და გვსიამოვნებს, მაგრამ რეალურად ქმედებებში მას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ხელისუფლების საწინააღმდეგო. შესაბამისად, მათ შორის ეს ვითომ – ვითომ დაპირისპირება რატომ არის მათ შორის, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. იმიტომ, რომ პრეზიდენტი ხელისუფლებას არანაირ პრობლემას არ უქმნის. არც არასოდეს შეუქმნია! ჩვენ პრეზიდენტს იმისთვის ხომ არ ვირჩევთ, რომ კომენტატორად იქცეს და ექსპერტის რანგში ილაპარაკოს.

– ელჩები არ დაგვინიშნაო, აცხადებენ „ოცნებაში“.

– კი ბატონო, შიდა გარჩევები აქვთ და ეს ჩვენთვის საინტერესო არ არის. მე არა ვარ მაღალი წარმოდგენის ჩვენს პრეზიდენტზე.

– ოპოზიციაც რომ არ არის მოწოდების სიმაღლეზე, ბატონო გია?

– ოპოზიცია კიდევ ცალკე უბედურებაა.

– ახლა საუბარია, რომ ნაციონალური მოძრაობაც შუაზე იყოფა, ცალკე იქნება მიშა და ცალკე ნიკა მელიაო. რა ვერ გაიყვეს?

– ამ პარტიაში არის რადიკალური ფრთა, რომლებიც არიან პირადად მიშაზე ორიენტირებულები და თვლიან, რომ მელიამ არაფერი არ გააკეთა მიშას გამოსაშვებად. რა უნდა ექნა მელიას, ციხეში ხომ არ შევარდებოდა?!

– მუდმივად ისმის უკმაყოფილება, რომ არ ვარგა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე და უნდა შეიცვალოს.

– ეს გასაგებია. ნაციონალურ მოძრაობაში არიან ადამიანები, რომლებიც ამას მუდმივად მოითხოვენ. იმიტომ, რომ მათთვის ეს პარტია უდრის მიშას და მიშა რომ ციხეშია, ეს ვიღაცას ხომ უნდა დააბრალონ. ამიტომ აბრალებენ მელიას. თუ გაიყოფა, შესაძლოა, არც ეს იყოს ცუდი. ორპოლუსიანობა მაინც აღარ იქნება.

– ბატონო გია, ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღეთ, აუცილებლად დადგება ვადამდელი არჩევნების საკითხიო. თქვენ რას ფიქრობთ, გაიზრდება უკმაყოფილება საზოგადოებაში?

– უკმაყოფილება ისედაც დიდია. თუმცა საზოგადოება ვერ ხედავს ალტერნატივას. კი ბატონო, დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები, მაგრამ რიგგარეშე არჩევნებით რას იზამს 2%-იანი პარტია, ხომ არ იცით? რომ ბაქიბუქობენ და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ, რის იმედით?! ხალხი მთლიანად დისტანცირებულია პოლიტიკური ელიტისგან და აი ეს არის მთავარი პრობლემა. არც ოპოზიცია მოსწონთ და არც „ოცნება“. მე კარგი მოლოდინები არ მაქვს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით რეალური ოპოზიცია, რომელიც პროტესტის კაპიტალიზაციას მოახერხებს, არ ჩანს.

ნიკოლოზ ვაშაკიძე: „ევროპა საქართველოს, როგორც ქვეყანას, თავის ოჯახში იწვევს“



საქართველოს ხელისუფლების კონფლიქტი ევროკავშირის უმსხვილეს და წამყვან პოლიტიკურ გაერთიანებასთან, „ევროპის სახალხო პარტიასთან“, პოლიტიკურად ევროპასთან კონფლიქტს ნიშნავს.

ამის შესახებ პარტია „ევროპელი დემოკრატების“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ განაცხადა.

მისი თქმით, „ევროპის სახალხო პარტიამ“ უკვე დაიწყო საქართველოს, ქართველი ხალხის და ხელისუფლების პრინციპული გამიჯვნა და თავისი მოწოდებებით სულ უფრო ხშირად პირდაპირ ქართველ ხალხს მიმართავს.

ვაშაკიძის თქმით, ევროპა საქართველოს, როგორც ქვეყანას, თავის ოჯახში იწვევს, მაგრამ მის ხელისუფლებას თავის მომავალ პარტნიორად აღარ განიხილავს.

– ბოლოდროინდელი მოვლენები, კერძოდ, „ევროპის სახალხო პარტიის“ ყრილობა, ამ პარტიის წარმომადგენელი ევროპარლამენტარების მიერ საქართველოზე გაკეთებული განცხადებები, მათზე „ქართული ოცნების“ უხეში რეაგირება და ბოლოს, ესპ-ს ფრაქციის მიერ მომზადებული ევროპარლამენტის რეზოლუციის პროექტი ნათლად მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული კონფლიქტი აქვს ამ პარტიასთან.

ცხადია, ამ სიტუაციაში ნათლად უნდა გავიაზროთ, თუ რასთან გვაქვს საქმე. ევროპის სახალხო პარტია არის ევროკავშირის უმსხვილესი და წამყვანი პოლიტიკური გაერთიანება. მას ჰყავს ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა, როგორც ევროპარლამენტში, ასევე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, აერთიანებს 39 სახელმწიფოს 73 წამყვან ან გავლენიან პარტიას. ესპ-ს წევრები არიან ევროკავშირის 16 სახელმწიფოს მთავრობის თავმჯდომარე, ევროკომისიის 13 წევრი, კომისიის თავმჯდომარის ჩათვლით, ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს თავმჯდომარეები.

არსებითად, ამ პარტიასთან კონფლიქტი პოლიტიკურად, დიდი ანგარიშით, ევროპასთან კონფლიქტს ნიშნავს.

ცხადია, „ქართული ოცნების“ მიერ მოყვანილი მიზეზი – „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ინტრიგები სერიოზულად არ უნდა განვიხილოთ.

მიზეზი გაცილებით უფრო ფუნდამენტურია და ის არის საქართველოს ხელისუფლების დემოკრატიული განვითარებიდან და ევროპული ღირებულებებიდან თვალშისაცემი, სახიფათო გადახვევა.

ევროპა საქართველოს, როგორც ქვეყანას, თავის ოჯახში იწვევს, მაგრამ მის ხელისუფლებას თავის მომავალ პარტნიორად აღარ განიხილავს. ამის შესახებ ცალკეულმა ევროპარლამენტარებმა უკვე პირდაპირი განცხადებებიც გააკეთეს.

შექმნილ ვითარებაში, ვფიქრობ, საქართველოს საზოგადოებისთვის სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს ის, თუ რა „სიკეთე“ შეიძლება მოუტანოს ქვეყანას იმ ხელისუფლებამ, რომელიც შესულია ღრმა და შეუქცევად კონფლიქტში ევროკავშირის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალასთან, – განაცხადა ნიკოლოზ ვაშაკიძემ.

ინფორმაციას „ევროპელი დემოკრატები“ ავრცელებენ.

გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება“ ჩემზე ფიზიკურ თავდასხმას გეგმავს“

„ქართული ოცნება“ ჩემზე ფიზიკურ თავდასხმას გეგმავს. მოჭიდავე დეპუტატებს დაავალეს პროვოკაციის მოწყობა, დავალება გაცემულია პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ამის ნიშნები იყო 7 ივნისსაც, როცა მიმდინარეობდა მძიმე საუბრები მისი ფრაქციის წევრებთან. როგორც ვაშაძე აცხადებს, თავად სხდომათა დარბაზში იმ დროს არ იყო.

– წყარომ მომაწოდა ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება“ ჩემზე ფიზიკურ თავდასხმას გეგმავს. არ ვიცი, სხდომათა დარბაზში იგეგმება თუ გარეთ, ამის ნიშნები იყო გუშინ, განცხადებების შემდეგ. ზუსტი ინფორმაცია მაქვს, ისინი აპირებენ ჩემ მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას და დაავალეს საკუთარ ფრაქციაში მოჭიდავე და გაუგებარ დეპუტატებს, რომელთა სახელი და გვარი არავინ იცის, რომ რამენაირად პროვოკაცია მოაწყონ.

„ქართულ ოცნებას“ პასუხი არ აქვს საკითხებზე, რასაც ვსვამთ და გინდათ გადახვიდეთ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე. უკან არ დავიხევთ და საზოგადოებას თქვენ რეალურ სახეს ვაჩვენებთ. დავალება არის გაცემული პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან კონკრეტულ პირებზე, – განაცხადა ვაშაძემ.

„ვერავის ვერ გადაუღუნოთ, დავაი, დაახვიეთ“

როგორ მიმართა რიჟვაძემ ოპოზიციას

– აბა გამახსენე, რას ვამბობდი მიხეილ სააკაშვილზე, წეღან, როგორც ამბობდით, რესტორნებში დადიოდაო, აბა გამახსენდეთ რა ვთქვი, თქვე ჭორიკნებო... ვერავის ვერ გადაუღუნოთ, დავაი, დაახვიეთ.

ამ სიტყვებით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ოპოზიციას მიმართა.

უმაღლეს საბჭოში წლიური ანგარიშის წარდგენა იყო, თუმცა მთელი სხდომის განმავლობაში რიჟვაძე შეურაცხყოფას აყენებდა ოპონენტებს, ემუქრებოდა მათ, მიმართავდა უცენზურო სიტყვებით და ცინიკური გამონათქვამებით.

– შე უზრდელო ბავშვო, წესიერად ილაპარაკე – უზრდელი ხარ, ვიღაც ხარ. სირცხვილია, შენ ხელში რო აჭარის მთავრობაა, წადი, ექსპერტებს ელაპარაკე, ომი ვინ დაიწყო, – უპასუხეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა რიჟვაძის ზემოაღნიშნულ გამონათქვამს.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მივმართავ ზურაბიშვილს, მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება და ნიკა გვარამია შეიწყალეთ!“

გედევან ფოფხაძე: „ქართულმა ოცნებამ“ განიზრახა სალომე ზურაბიშვილის დამორჩილება, მაგრამ არ გამოუვიდათ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტისა და მმართველი გუნდის დაპირისპირება რით არის გამოწვეული? ხედავთ პოლიტიკურ შემადგენელს?

– რა თქმა უნდა, ეს დაპირისპირება პოზიციების რადიკალურმა განსხვავებამ გამოიწვია. უკვე აშკარაა, რომ დიდი კონტრასტია პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის. „ქართულმა ოცნებამ“ განიზრახა სალომე ზურაბიშვილის ჩარჩოებში მოქცევა და დამორჩილება, მაგრამ აშკარაა, რომ ეს არ გამოუვიდათ. ისინი ბევრს ეცადნენ, მაგრამ პრეზიდენტს მათი ნების საწინააღმდეგოდ ჰქონდა კიდეც ევროპული ტურნე, ვიზიტები ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო დროს. რასაც მოჰყვა მათი გაღიზიანება.

– ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ იმპიჩმენტი არ იქნება. თუმცა, ელჩების საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლო ეტყვის პრეზიდენტს, რომ წარდგენილ კანდიდატებს ხელი უნდა მოაწეროს.

– „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესაძლებლობა არ აქვს. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვას, ეს სარჩელიც ხომ ამის დასტურია, რომ სალომე ზურაბიშვილი არ აკეთებს იმას, რაც ირაკლი კობახიძეს უნდა. მე არ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალოს.

– სწორედ ამაზე უნდა გკითხოთ. სახალხო დამცველი პრეზიდენტს ნიკა გვარამიას შეწყალების რეკომენდაციით მიმართავს. როგორც ნინო ლომჯარია თავის დასკვნაში წერს, დანაშაულის ნიშნები საქმეში არ იკვეთება. გაქვთ მოლოდინი, რომ შეიწყალებს?

– ეს იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება. სწორი გზავნილი პირველ რიგში ქვეყნის შიგნით, რომ არის ინსტიტუცია, რომელიც არ ექვემდებარება მმართველი პარტიის ინსტრუქციებს და მეორე, ეს იქნებოდა ასევე სწორი და სერიოზული გზავნილი ჩვენი დასავლელი, საერთაშორისო პარტნიორებისთვის, რომ ქვეყანაში არის ინსტიტუციებს შორის ბალანსი. ეს გადაწყვეტილება ახლა, ამ წუთში ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას. მე იმედი მაქვს, რომ სწორედ ქვეყნის ინტერესებით, სწორედ აქედან გამომდინარე იხელმძღვანელებს სალომე ზურაბიშვილი. პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება ახლა არსებულ პოლიტიკურ რეალობას ძალიან სჭირდება. ამიტომ, საჯაროდ მივმართავ, რომ მან მიიღოს ეს სწორი და მართებული გადაწყვეტილება. მე მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა, ხოლო რას იზამს სალომე ზურაბიშვილი, არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით.

„კობახიძე გაბრაზდება თუ განაწყენდება, ეს არავის არ უნდა აღელვებდეს. თუ ეწყინება, ცივი წყალი დალიოს, ცივ ბორჯომს ვერ შევთავაზებ, ქარხანა დახურულია“

– თუ ნიკა გვარამიას შეიწყალებს, მაშინ გიორგი მარგველაშვილის გზას გაუყენებენ. ასე არ ფიქრობთ?

– მე ასე ვიტყოდი, გიორგი მარგველაშვილს თავისი გზა ჰქონდა და ეს გზა აბსოლუტურად სხვა იყო. მაშინ სხვა პოლიტიკური რეალობაც იყო. სალომე ზურაბიშვილს თავისი გზა აქვს. თან, დღეს სულ სხვა პოლიტიკური რეალობაა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთოდ გლობალურად, გეოპოლიტიკური პროცესების თვალსაზრისითაც. ახალი მსოფლიო პოლიტიკური რეალობა და წესრიგი ყალიბდება. ახალი შანსები ჩნდება და ეს შანსი ახლა უნდა გამოვიყენოთ. ამიტომ, ამ პროცესში ძალიან დიდია სალომე ზურაბიშვილის როლი, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტის.

სალომე ზურაბიშვილმა ამ მოცემულობაში უნდა დაამტკიცოს, რომ ის არ არის ერთპარტიული, ავტოკრატიული მმართველობის თანამონაწილე, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს შეუძლია იყოს ამ მმართველობის მიღმა, რომ ინსტიტუციური ბალანსი შესაძლებელია სწორედ სალომე ზურაბიშვილის პოზიციიდან, მისი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე. თუ ის ამას დაამტკიცებს, ეს სერიოზული გზავნილი იქნებოდა დასავლეთისთვის.

– იტალიაში ვიზიტით მყოფმა პრეზიდენტმა თქვა, თბილისში რომ დაბრუნდება, სარჩელთან თუ ელჩების დანიშვნაზე აუცილებლად გააკეთებს კომენტარს. უფრო გამწვავდება დაპირისპირება?

– ინსტიტუციური კონფლიქტი სახეზეა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, სალომე ზურაბიშვილს შეუძლია პრეზიდენტის ინსტიტუტს, თავად დამოუკიდებელი სახელმწიფო მეთაურის სტატუსი ჰქონდეს. მან უნდა გადადგას ის ნაბიჯები, რომელიც სწორედ აქეთკენ იქნება მიმართული. ვნახოთ, როგორი იქნება მისი ნაბიჯები. რა გადაწყვეტილებას მიიღებს. ვიმეორებ, მისი მხრიდან ეს იქნებოდა სერიოზული გზავნილი ევროპისთვის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და ბალანსის. ხოლო, „ქართულ ოცნებაში“ ეს ნაბიჯები რა ემოციებს გამოიწვევს, როგორი იქნება ირაკლი კობახიძის დამოკიდებულება, გაბრაზდება თუ განაწყენდება, ეს არავის არ უნდა აღელვებდეს. თუ ეწყინება, ცივი წყალი დალიოს, ცივ ბორჯომს ვერ შევთავაზებ, ქარხანა დახურულია.

იაგო ხვიჩია: „ნაციონალური მოძრაობა“ რომ აღარ არსებობდეს ახლა, ყველასთვის კარგია“

– ციხეში თუ ზიხარ და ვერაფერს შვრებიან, 500 კაცს ვერ აგროვებენ, უნდა გესმოდეს, რომ არანაირი 25%-იანი პარტია არ არის „ნაციონალური მოძრაობა“ და უნდა დაამთავრო ამ პარტიის მოღვაწეობა, ისტორიისკენ გადაინაცვლო და წახვიდე სხვა ქვეყნის პოლიტიკაში, თუ არადა, იჯდები ციხეში.

ამის შესახებ „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, იაგო ხვიჩიამ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „პოლიტიკურ სივრცეში“ საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას განაცხადა.

იაგო ხვიჩიას თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰგონია, რომ „ერთხელ ხალხს ყელში ამოუვა „ქოცები“ და მათ მოიყვანენ ერთპიროვნულად“, რაც არასდროს მოხდება.

– სამწუხაროდ, შიშია გრძნობა, რასაც დარაზმულად მიჰყავს ხალხი არჩევნებზე და ამ შიშს აღვივებენ. შიშს აღვივებს ხელისუფლება პირველ რიგში და ამის გაღვივების საშუალებას „ნაციონალური მოძრაობა“ აძლევს იმით, რომ კიდევ არსებობს. კიდევ ჰგონია, რომ ერთხელ ხალხს ყელში ამოუვა „ქოცები“ და მათ მოიყვანენ ერთპიროვნულად.

ჩემი აზრით, ეს არასდროს მოხდება. იცით, როგორი თემაა? – რომ აგებ, არასდროს გამოდიხარ მოედნიდან და სულ გცემენ, მაგრამ არასდროს ამთავრებ და არავის შანსს არ აძლევ. ეგოისტობა უნდა მორჩეს ქართულ პოლიტიკაში.

შენი ლიდერი ციხეში ზის, 500 კაცს ვერ აგროვებ და ნახევარ მილიონ ამომრჩეველს აგროვებ სხვადასხვა მიზეზების გამო. საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ არაფრის გამომყვანი არ ხარ, არანაირი პარტია არა ხარ, არანაირი იდეა არ გაგაჩნია. არაფერი არ შეგიძლია და უბრალოდ არის შეკრებილი ხალხი, რომელსაც სხვა პერსპექტივა არ გააჩნია და ასე იციან პარლამენტში მოხვედრის გზა, ასე საკუთარ ეგოიზმს სწირავენ ამ ქვეყნის მომავალს.

ყველამ იცის, რომ ვიდრე ეს ხდება, იქამდე სულ იქნები იარაღად გამოყენებული და ვერ იღებ გადაწყვეტილებას ვერც იმისთვის, რომ საკუთარი ლიდერი გაათავისუფლო, გადაარჩინო და ვერც იმაზე, რომ საკუთარ ქვეყანაში რამე შეცვალო.

„ნაციონალური მოძრაობა“ რომ აღარ არსებობდეს ახლა, ყველასთვის კარგია ეს, პირველ რიგში, განსაკუთრებით, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებისთვის. მიშამ უნდა ქნას ეს. „ქოცები“ ისე არავის არ დააშლევინებენ „ნაცმოძრაობას“. „ნაცმოძრაობის“ შიგნითო სავსეა ხალხი „ქართული ოცნების“ გულშემატკივრებითა და შეგზავნილებით, ისინი ყველაზე მეტს იყვირებენ, რომ „ნაცმოძრაობა“ არ დაიშალოს, – განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

ესტონეთის მთავრობა მხარს უჭერს სამივე ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას

საქართველოში, ესტონეთის ელჩის შეფასებით, ბრიუსელის გადაწყვეტილებაზე წინასწარ საუბარი ნაადრევია.

მედიის კითხვებს რიინა კალიურანდმა პარლამენტში, „სტრატეგია აღმაშენებელთან“ გამართული შეხვედრის შემდეგ უპასუხა.

მისი თქმით, იდეალური იქნება, თუკი საქართველო, უკრაინა და მოლდოვა კანდიდატის სტატუსს პირობებით მიიღებენ.

– ახლა, სამი ქვეყნის შესახებ ბრიუსელში საკმაოდ რთული დისკუსიაა. საქართველოში გარკვეული მიმართულებებით არსებობს პრობლემები, მაგრამ პრობლემები აქვს მოლდოვას და უკრაინასაც. გადაწყვეტილების მიღება, ცხადია, არსებული შედეგების მხედველობაში მიღების შემდეგ მოხდება, თუმცა აუცილებელია გავითვალისწინოთ არსებული გეოპოლიტიკური ვითარება და უსაფრთხოების კუთხით, რეგიონში მდგომარეობა.

ესტონეთის მთავრობა სამივე ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას მხარს უჭერს. რა იქნება ამ დისკუსიების საბოლოო შედეგი, ეს ჩვენთვის უცნობია, ეს ნამდვილად რთული პროცესია. ჩემი აზრით, იდეალური იქნება, თუ სამივე სახელმწიფო მიიღებს კანდიდატის სტატუსს კონკრეტული პირობებით, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

გადაწყვეტილება მალე გასაჯაროვდება. ქართველი ხალხი ერთიანობას იმსახურებს. ისინი იმსახურებენ ოპოზიციისა და მთავრობის ერთიანობას. ჩემი აზრით, არ არის კარგი, როცა განსხვავებული ზომის პოლიტიკური პარტიები ბრიუსელში ცალ-ცალკე ჩადიან. მათ, ყველას, ერთიანი ნება უნდა ამოძრავებდეთ, – აცხადებს კალიურანდი.

მორგოშია: „მდინარაძე ჩემი ადვოკატი იყო“

„ალტ-ინფოს“ დამფუძნებელმა „ტვ პირველთან“ საუბარში დაადასტურა, რომ მამუკა მდინარაძე მისი ადვოკატი იყო. ძალადობრივი დაჯგუფების ლიდერი ახლა მასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

– ახლა არანაირი ურთიერთობა არ მაქვს მამუკა მდინარაძესთან. ის ფაქტი, რომ მდინარაძე ახლა მთავრობაშია, ეს 5 ივლისის დამსახურებაა და კიდევ, მამუკა მდინარაძემ ჯობია, ის მოიკითხოს, ნაცებში უფრო მეტია ნაცი, თუ მასთან – „ოცნებაში“ – აცხადებს „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი.

შეგახსენებთ, გამოცემა „პუბლიკამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პრორუსული, ძალადობრივი პლატფორმის „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი, კონსტანტინე მორგოშია, წინა ხელისუფლების პერიოდში სახელმწიფო ქონების მითვისებისა და თაღლითობის ბრალდებით დააკავეს, როდესაც მისი ადვოკატი მამუკა მდინარაძე იყო.

მეტიც, მორგოშია არ მალავდა, რომ 2006 წელს, როდესაც ბანკში მუშაობდა, მდინარაძეს თავდებში ჩაუდგა, რათა მანქანის შესაძენად სესხის აღება შეძლებოდა.

2019 წელს მორგოშია წერდა, რომ მდინარაძეს 1999 წლიდან იცნობს და რომ ის მისი რაიონის გამომძიებელი იყო.

თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა გულედანი დაინიშნა

თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა გულედანი დაინიშნა. გულედანის კანდიდატურა თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ, 8 ივნისის, სხდომაზე წარადგინა.

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, ყველა ის ადამიანი, ვინც ელოდება საკუთარ საცხოვრებელ ბინას, აუცილებლად მიიღებს მომდევნო წლების განმავლობაში და ამ საქმეს კახა გულედანი უხელმძღვანელებს.

– საზოგადოებას მინდა წარვუდგინო კახა გულედანის კანდიდატურა. კახა წლების განმავლობაში მუშაობს მუნიციპალიტეტში, მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ის დღეს ხელმძღვანელობს მუნიციპალურ ინსპექციას, წლების წინ იკავებდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას, ასევე, იყო სამგორის რაიონის გამგებელი.

მინდა, კახას წარმატებები ვუსურვო ამ თანამდებობაზე და დარწმუნებული ვარ, წამოწყებული საქმეები და უდიდესი გამოწვევები, რომელსაც ჩვენ ილია ელოშვილთან ერთად შევეჭიდეთ, ბოლომდე ღირსეულად იქნება მიყვანილი. ყველა ის ოჯახი, ადამიანი, ვინც იმედით შეჰყურებდა ილიას, რომ ეს თემა ბოლომდე მივიდოდა, ჩვენ ამას თავს ღირსეულად გავართმევთ და, რა თქმა უნდა, მისი სულიც გაიხარებს, – განაცხადა კალაძემ.

ამასთან, კალაძის თქმით, კახა გულედანი უხელმძღვანელებს მუნიციპალიტეტის ათივე რაიონის გამგეობას, მუნიციპალურ ინსპექციას და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს გაუწევს კურატორობას.

– მინდა, წარმატებები ვუსურვო და, ცხადია, დაუსრულებელი მშენებლობები იქნება მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება, – განაცხადა კალაძემ.

პუტინის ოპონენტი კასპაროვი დასავლეთს უკრაინისათვის შეიარაღების გადაცემის გაჭიანურებაში ადანაშაულებს

გერმანელი სამხედრო ექსპერტები: „მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეიარაღების გაგზავნა გვიანდება, არასწორია“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ასზე მეტი დღეა გასული. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებს შეეწირნენ სამხედროები, მოხალისეები, მშვიდობიანი მოქალაქეები. მათ შორის, ბავშვები. დაღუპულთა შორის არიან უკრაინაში საბრძოლველად წასული ქართველები.

უკრაინელები და მისი გულშემატკივრები იმედს ამყარებენ დასავლეთის უფრო თანამედროვე, შორ მანძილზე მოქმედ მძლავრ შეიარაღებაზე. ამაზე გადაწყვეტილება მიღებულია.

არსებობს აზრი, რომ დასავლეთი ამ შეიარაღების უკრაინისათვის გადაცემას აჭიანურებს. პუტინის ოპონენტი, ემიგრაციაში მყოფი გარი კასპაროვი, რომელმაც თანამოაზრეებთან ერთად შექმნა „მოქმედების კომიტეტი“, ამ პოზიციის გამზიარებელია.

კასპაროვი: „სიტუაციის განვითარების ტემპები წინ უსწრებს დასავლელი პოლიტიკოსების რეაგირების უნარს“

კრემლის ოპოზიციაში მყოფი კასპაროვი უკმაყოფილოა არა მარტო შეიარაღების გადაცემის ტემპით, არამედ, ზოგიერთი დასავლელი ლიდერის რუსეთის მიმართ დათმობის მცდელობებით.

კასპაროვის აზრით, როცა ომში იხოცებიან ადამიანები, ძალიან სამარცხვინოდ გამოიყურება ბიუროკრატია უკრაინისათვის შეიარაღების მიწოდების საკითხში. გერმანიამ შეანელა ტანკების გადაცემის პროცესი, ხოლო საფრანგეთი და გერმანია ცდილობენ რაღაც კომპრომისის გამონახვას პუტინთან. სამწუხაროდ, ამერიკაშიც კი ვხედავთ სიტუაციას, როცა ბაიდენს არ უნდა გააგზავნოს უკრაინაში ყველაზე თანამედროვე რაკეტები, აქაოდა, ღმერთმა ნუ ქნას, ისინი შორს გაფრინდნენ.



„რუსეთის ახლანდელი მიზანია დონბასზე სამხედრო კონტროლის დამყარება“

ოპოზიციონერის თქმით, სიტუაციის განვითარების ტემპები წინ უსწრებს დასავლელი პოლიტიკოსების რეაგირების უნარს.

კასპაროვი განმარტავს, რის შიში აქვს დასავლეთის ზოგიერთ მოღვაწეს:

– აშკარაა, რომ მათ ეშინიათ უკრაინის გამარჯვების. მათ პანიკურად აშინებთ ახალი მსოფლიო, სადაც არ იქნება პუტინი, იმპერია დაინგრევა და უკრაინა მორალურად გაიმარჯვებს. უკრაინული გამარჯვება გახდება ახალი მსოფლიოს ფორმირების მაუწყებელი. ყველა ძველი ბიუროკრატიული სტრუქტურა, როგორიცაა გაერო, ევროკავშირი, იქნება რეფორმირებული იმისთვის, რომ გადარჩეს. ქვეცნობიერად ეს აშინებს ჩინოსნებს, რომლებსაც ახალ სამყაროში საკუთარი თავის წარმოდგენა არ უნდათ. მათ არ უნდათ პუტინის გამარჯვება, ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ მალე პუტინის ჯარი პოლონეთის საზღვართან დადგება. თუმცა, მათ არც პუტინის სისტემის კრახი სურთ. ამის პანიკურად ეშინიათ.

რას ამბობენ გერმანელი სამხედრო ექსპერტები

გერმანელი სამხედრო ექსპერტების განცხადებით, შეიარაღების უკრაინისათვის მიწოდება არ გვიანდება.

რაინერ შვალბის თქმით, მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეიარაღების გაგზავნა გვიანდება, არასწორია.

მისი განმარტებით, შეიარაღების ნაწილი უკრაინას უკვე გადაეცა. ამან მოახდინა გავლენა ომის მიმდინარეობაზე. ეს, მისი თქმით, ჩანს დრონებით, რომლებსაც იყენებენ დაზვერვისას, არტილერიის სისტემებით, რომლებიც სწრაფად და პირდაპირ რეაგირებს. გარდა ამისა, დასავლეთი და უკრაინა ბევრ რამეს მალავს, რათა დეტალები რუსეთმა არ გაიგოს.

გერმანელი ექსპერტები ომის მიმდინარეობაზე საუბრობენ და ვარაუდობენ, რომ რუსების მიერ სევეროდონეცკის აღების შემთხვევაში, მთელი ლუგანსკის ოლქი აღმოჩნდება პრორუსი სეპარატისტების ხელში. შემდეგ რუსეთი გადაერთვება დონეცკის ოლქზე. განსაკუთრებით, ქალაქებზე – სლავიანსკი და კრამატორსკი. რუსეთის ახლანდელი მიზანია დონბასზე სამხედრო კონტროლის დამყარება.



რაინერ შვალბის სიტყვებით, რუსეთის მოთხოვნა ნატოს გაფართოების შეჩერებაზე ჩავარდა – ნატოს წევრობა უნდათ ფინელებსა და შვედებს. უკრაინის მიმართ ეს მიზანი რუსეთს დარჩა.

ანალიტიკოსების აზრით, რუსეთმა ომის პირველი ფაზის დროს დაშვებული შეცდომები მეორე ფაზისას გამოასწორა.

ვოლფგანგ რიხტერის შეფასებით, ამ ეტაპზე უკრაინასაც და რუსეთსაც შერჩათ ადამიანური და მატერიალური რესურსები ომის გასაგრძელებლად.

– სრული მარცხის პერსპექტივებს ვერც ერთ მათგანში ვერ ვხედავ. სამშვიდობო მოლაპარაკებები აუცილებელია, – აღნიშნავს რიხტერი.

რაინერ შვალბის თქმით, რუსეთს უკრაინაში მოსკოვზე დამოკიდებული მთავრობის მოყვანა არ გამოუვიდა. პუტინი მიხვდა, რომ ეს შეუძლებელია. მისი ვარაუდით, რუსეთი ეცდება მიაღწიოს სასურველ პირობებს ცეცხლის შეწყვეტის, მომავალში კი მშვიდობის დასამყარებლად.

დაააწესებენ თუ არა ქართული რესტორნები „შეფარულ“ გადასახადს?!

ინფლაციის მაღალ დონესთან გასამკლავებლად აშშ-ში სულ უფრო მეტი რესტორანი უწესებს კლიენტებს ახალ გადასახადებს. გადასახადის რამდენიმე სახეობაა, ასე, მაგალითად, ლოს-ანჯელესში მომხმარებლებს ჩეკზე რესტორანში დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევის 3%-იანი გადასახადი ხვდებათ, ზოგან კიდევ კლიენტებს ინფლაციის დროებითი გადასახადის გადახდა უწევთ.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, ხომ არ შეინიშნება მსგავსი პრაქტიკა საქართველოს ბაზარზეც. როგორც ჩვენთან საუბრისას საქართველოს რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელმა, შოთა ბურჯანაძემ განაცხადა, ქართული რესტორნების მხრიდან ამ სტრატეგიის გამოყენების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რადგან ეს მათთვისვე იქნება არაეფექტური და სტუმრების განწყობაზეც უარყოფითად აისახება.

– ამ ეტაპზე მსგავსი რამ არ შეინიშნება და არც მოლოდინი უნდა გვქონდეს ასეთი ფარული თუ პირდაპირი გადასახადების, რადგან სარესტორნო მომსახურება ადგილობრივი მომხმარებლისთვის ისედაც არაა იაფი. არსებობს საქართველოში პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს 10%-დან 15%-მდე დამატებით გადასახადს მომსახურების კუთხით ან მითითებულია დღგ.

რომელიმე რესტორატორი ან მფლობელი თუ გადმოიტანს ამ პრაქტიკას და გარკვეული შემოსავლის წყაროდ, გასამდიდრებლად დაამკვიდრებს, ეს არც ერთ ვარიანტში არ იქნება სტუმრის მხრიდან დადებითად აღქმული. ამ კუთხით მენიუს კიდევ დატვირთვა კონტრპროდუქტიული იქნება ოპერატორისთვის, – ამბობს ბურჯანაძე.

რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა ისიც, რომ ტურისტული სეზონის დაწყების შემდეგ ფასების ზრდა რესტორნებში გარდაუვალი იქნება.

– სამწუხაროდ, ინფლაციასთან და გაზრდილ ხარჯებთან გამკლავების ერთადერთი შესაძლებლობა არის ფასების გაზრდა, თუმცა დღეს სარესტორნო ბიზნესი ამას არ აკეთებს. ესაა გათვლა ადგილობრივ მომხმარებელზე, რომელიც გაძვირებას ძალიან მტკივნეულად აღიქვამს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტურისტული სეზონის დაწყების შემდეგ ფასების ზრდა გარდაუვალი იქნება, – განაცხადა ბურჯანაძემ.

შოთა ბურჯანაძე ფიქრობს, რომ ახლა რესტორნების მთავარი პრობლემა კადრებს უკავშირდება, მთავრობამ კი მის მოგვარებას საგადასახადო წნეხის შემცირებით უნდა შეუწყოს ხელი.

– ქმედითი ნაბიჯები პოსტკოვიდურ მდგომარეობაშიც საჭიროა, თუმცა, ჯერჯერობით, ჩვენი პრობლემები თვითრეგულირებაზეა, მთავრობა არ ერევა და ფიქრობს, რომ თავისით დარეგულირდება, სინამდვილეში კი ეს ქვეყნისთვის იქნება მტკივნეული.

პირველ რიგში, ყველაზე დიდი პრობლემა დასაქმების, კადრების პრობლემაა და მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით დაეხმაროს მთავრობა სფეროს. ამ პრობლემის გადაჭრა უმარტივესად შეიძლება საგადასახადო წნეხის მოხსნით, როდესაც ბიზნესს წნეხი შეუმსუბუქდება, შემდეგ გადაწყვეტს, თუ რა მიმართულებით განკარგოს გამოთავისუფლებული თანხები, – უთხრა ბურჯანაძემ „ბიზნესპრესნიუსს“.

საქართველოს საერთაშორისო რეზერვები გაიზარდა

საქართველოს საერთაშორისო რეზერვები იზრდება. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის მაისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ ქვეყანაში დაახლოებით 3,855 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა, აპრილში აღნიშნული მაჩვენებელი 3,826 მლრდ აშშ დოლარზე იყო.

რაც შეეხება საერთაშორისო რეზერვებს კომპონენტების მიხედვით, სარეზერვო აქტივებში ყველაზე დიდი წილი უცხოური ვალუტის რეზერვებზე მოდის, რომელმაც მაისში დაახლოებით 3,372 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აპრილთან შედარებით 25.9 მლნ დოლარით მეტია. შემდეგ მოდის სესხების სპეციალური უფლებები, რომელიც მაისში 7,972 მლნ დოლარით გაიზარდა და 473.154 მლნ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება სხვა სარეზერვო აქტივებს, ეს მაჩვენებელი მაისში შემცირდა და 9,759 მლნ დოლარი შეადგინა.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ ეროვნულ ბანკს ისტორიულად ყველაზე დიდი მოცულობით საერთაშორისო რეზერვი გასული წლის დეკემბერში ჰქონდა, კერძოდ, 4,272 მლრდ აშშ დოლარი. ამ ყველაფრის მიზეზი კი, სავარაუდოდ, მთავრობის მიერ აღებული საგარეო ვალია, რომელსაც ეროვნული ბანკი რეზერვის სახით ინახავდა.

რა მარშრუტს სთავაზობს ბელარუსის საელჩო საქართველოდან გასასვლელად გადამზიდავებს

ზემო ლარსის საერთაშორისო საავტომობილო გამშვებ პუნქტთან ათასობით სატვირთო მანქანის დაგროვების გამო, ბელარუსის საელჩო საქართველოში გადამზიდავებს რეკომენდაციას აძლევს, ქვეყნიდან გასასვლელად აზერბაიჯანის ტერიტორია გამოიყენონ.

სააგენტო თრენდი წერს, რომ საელჩო მძღოლებს ალტერნატიულ მარშრუტად შემდეგ მიმართულებას სთავაზობს: თბილისი-წითელი ხიდის გამშვები პუნქტი-აზერბაიჯანის „სამურის“ საერთაშორისო საავტომობილო გამშვები პუნქტი-რუსეთის იარაგ-კაზმალიარის საავტომობილო გამშვები პუნქტი-ბელარუსის გომელი.

საელჩოს განცხადებაში, ასევე, ნათქვამია, რომ დარიალიდან რუსეთის მიმართულებით, ზემო ლარსის გამშვები პუნქტიდან გასასვლელად რიგი 100 კილომეტრს აღემატება და კიდევ მატულობს, ხოლო ლოდინის დრო 3-4 კვირაზე მეტს შეადგენს.

საელჩოს ცნობით, საქართველოს პორტებისა და აზერბაიჯანის საზღვრის მხრიდან ზემო ლარსის გამშვები პუნქტისკენ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს საპატრულო პოლიცია რიგის მოლოდინის ავტოსადგომებზე ათავსებს. ასეთ ადგილებში ლოდინის დრო 1-2 კვირაა. ამასთან, უშუალოდ საზღვართან მოწყობილია სადგომი, რომელიც საზღვრის გადაკვეთის რიგში ლოდინისთვის არის განსაზღვრული. ამ პარკინგიდან მალფუჭებადი საქონლის მქონე მანქანებს „მწვანე დერეფნით“ ატარებენ, რასაც, ასევე, რამდენიმე დღე სჭირდება.

ბელარუსის საელჩო წერს, რომ აზერბაიჯანის მარშრუტი, ზემო ლარსთან შედარებით, 1000 კმ-ით გრძელია, თუმცა მისი შემდგომი შემუშავება აუცილებელია.

რა მდგომარეობაა თბილისის „ოქროს ბირჟაზე“

რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასი მერყეობს – ჯერ გაიზარდა და 2 წლის განმავლობაში პირველად 2,000 დოლარს გადასცდა, შემდეგ კი კვლავ შემცირდა და დღეს 1 უნცია 1840 დოლარზე ოდნავ მეტია.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, როგორია მდგომარეობა ოქროს ბირჟაზე ჩვენს ქვეყანაში და იქონია თუ არა ომმა, ინფლაციის მაღალმა დონემ თუ სხვა ფაქტორებმა გავლენა ამ სექტორზე.

„დასათვალიერებლად თუ შემოვლენ, თითქოს მუზეუმში არიან, ზოგი კიდევ სიცხეს აფარებს თავს. ვინც შემოდის, იმათგან მყიდველი ძალიან ცოტაა“ – ასეთია განწყობა თბილისის ოქროს ბირჟებზე.

როგორც მოვაჭრეები ამბობენ, მათი მთავარი პრობლემა ახლა მოთხოვნის ნაკლებობაა – ხალხს ოქროს საყიდელი ფული ნაკლებად აქვს და აღარც გასაყიდად მიდის ვინმე ხშირად – „ვისაც რამე ჰქონდა, უკვე ყველამ გაყიდა ან ლომბარდში ჩააბარა“.

ფასები მერყეობს საქართველოს ბაზარზეც და როგორც მოვაჭრეები ამბობენ, ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო ფასის ან დოლარის კურსის შესაბამისია. თუმცა ფასის კლება ან მატება 5-ლარის ფარგლებს არ ცდება.

ოქროს ფასებმა საქართველოში განსაკუთრებით პანდემიის დაწყებისას მოიმატა და თითქმის გაორმაგდა, მას შემდეგ კი ფასი მნიშვნელოვნად არც გაზრდილა და არც შემცირებულა.

– ხან მაღლა მიდის, ხან დაბლა, როგორც დოლარის კურსი, თუმცა უფრო მეტად მსოფლიო ბაზარზე უნციის ფასს მიყვება. ახლა მსოფლიო ფასი კი მატულობს, მაგრამ ჩვენთან მცირდება, რადგან ლარის დოლარის მიმართ გამყარება არეგულირებს.

ოქროსა და ვერცხლის საქმე გაგვიფუჭდა, სურსათზე კიდევ პირიქითაა, მოთხოვნა კი დიდია, მაგრამ ვერ ვყიდულობთ. ახლა ფულს ოქრო-ვერცხლში ვერ იშოვი. აი, დადექი და ნახავ, თუ კლიენტი მოვა, – უთხრა ოქროს ბირჟის ერთ-ერთმა მოვაჭრემ „ბიზნესპრესნიუსს“.

დღეს ჩვენს ბაზარზე 585 სინჯის ქარხნულად დამზადებული ოქროს ფასი, ძირითადად, 120-130 ლარიდან იწყება. 10-15 ლარით ნაკლებია ქვეყანაში დამზადებული ოქროს ნაკეთობის ფასები.

რაც შეეხება ვერცხლს, 1 გრამი ვერცხლის ფასი, ძირითადად, 4-8 ლარის შუალედში მერყეობს.

რატომ არის ნიკა გვარამიას „განაჩენი დაუსაბუთებელი“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ 16 მაისს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ყოფილი დირექტორისა და „მთავარი არხის“ დამფუძნებლის ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი შეისწავლა.

მათი შეფასებით, აღნიშნული განაჩენი ვერ პასუხობს კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს. ამასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 5 მიზეზს ასახელებს, თუ რატომ არის განაჩენი დაუსაბუთებელი.

აღნიშნულ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მოსამართლის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით არსებული ლეგიტიმური კითხვების უგულებელყოფის, ნიკა გვარამიას მსჯავრდებისა და სასჯელის განსაზღვრის კუთხით სამართლებრივი მსჯელობის სიმწირის, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ფაქტების სისტემური ანალიზისა და სასამართლოების შესაბამისი პრაქტიკის, იურიდიული ლიტერატურისა თუ სამეცნიერო ნაშრომების გამოყენების ნაკლებობის გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი „გამამტყუნებელი განაჩენი დაუსაბუთებელია და სრულყოფილად არ ასახავს მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებულ საკითხებს“.

ამასთან, სასჯელის დანიშვნისას მოსამართლის მსჯელობა არის ზოგადი და აბსტრაქტული, ხოლო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და არაპროპორციული.

„2021 წლის 15 დეკემბერს დაცვის მხარემ მოსამართლის აცილების შუამდგომლობა იმ საფუძვლით დააყენა, რომ ერთ-ერთი დასაკითხი პირი მოსამართლის ახლო მეგობარი და საქმის შედეგით დაინტერესებული იყო. მოსამართლის განმარტებით კი, მისი მეგობარი საქმეში მხოლოდ მოწმის სახით ფიგურირებდა და ეს მოცემულობა არ შეიძლება გამხდარიყო მისი აცილების წინაპირობა. გარდა ამისა, განაჩენში მითითებულია, რომ აცილების საკითხი დამოკიდებული არ უნდა იყოს დაცვის მხარის სურვილზე, მოსაზრებასა თუ ჰიპოთეტურ დაშვებაზე და დაცვის მხარეს უნდა წარმოედგინა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც მის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას ეჭვქვეშ დააყენებდა.

ამის საპირისპიროდ, მოსამართლემ გვერდი აუარა იმ საკითხს, რომ მისი ახლო მეგობარი „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი მმართველი მედია ჰოლდინგის დირექტორია. ბუნებრივია, ჰოლდინგის დირექტორს ნიკა გვარამიას გამამტყუნებელი განაჩენის მიმართ უნდა ჰქონოდა პირდაპირი ფინანსური დაინტერესება. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ არ უარყო ამ პირთან ახლო მეგობრობისა და რეგულარული კომუნიკაციის ფაქტი, აცილების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განაჩენში ეს საკითხი სათანადოდ არც ასახა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სამოსამართლო ქცევის – ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ არსებობს გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. საქმის შედეგით დაინტერესებულ პირთან ახლო მეგობრობის ფაქტი კი ის გარემოებაა, რომელიც მოსამართლის აცილების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილ გაფლანგვის ბრალდებაზე კვალიფიკაცია შეცვალა, ნიკა გვარამია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ცნო დამნაშავედ და სასჯელის სახედ 50.000 ოდენობით ჯარიმა განუსაზღვრა. სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ 2015 წლის 16 იანვარს რეკლამის გაყიდვის წესის ცვლილებითა და 2015 წლის სექტემბერ-დეკემბერში წინა წელთან შედარებით ნაკლები შემოსავლის მიღებით ნიკა გვარამიამ ტელეკომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა და მას ზიანი განზრახ მიაყენა.

სასამართლომ უგულებელყო მასთან წარდგენილი სასამართლოს მეგობრის არაერთი მოსაზრება, რომელთა მიხედვითაც კომპანიის დირექტორის მიერ მიღებული მსგავსი მენეჯერული გადაწყვეტილების მართლზომიერების შეფასება, პირველ რიგში, კორპორაციულ-სამართლებრივ ჭრილში და დირექტორის უფლება-მოვალეობების მხედველობაში მიღებით უნდა მომხდარიყო. კორპორაციული მართვის პროცესში დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, იმ მოტივით, რომ მისმა გადაწყვეტილებამ საწარმოს წინა წლის მსგავსი შემოსავალი არ მოუტანა, ეწინააღმდეგება სამეწარმეო განსჯის წესს.

კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, დირექტორს უფლება აქვს მიიღოს სარისკო გადაწყვეტილებები. მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტილება საწარმოსათვის მოგების მომტანი არ აღმოჩნდა. დირექტორის გადაწყვეტილებამ შესაძლოა საწარმოს მოგება არ მოუტანოს, თუმცა იგი გამართლებული იყოს საწარმოს ეფექტიანად ფუნქციონირების გაგრძელებისათვის. ნიკა გვარამიას სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა დაკისრებოდა, თუ დადასტურდებოდა, რომ იგი მოქმედებდა ერთპიროვნული გადაწყვეტილების, მისი პირადი დაინტერესების, თაღლითობის, კორუფციული თუ სხვა დანაშაულებრივი ქმედების საფუძველზე.

გარდა ამისა, მოსამართლემ უგულებელყო ის ფაქტი, რომ „რუსთავი 2-ის“ პარტნიორს (მფლობელს) რეკლამის გაყიდვის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით თანხმობა ჰქონდა გაცხადებული. მიგვაჩნია, რომ განაჩენში მითითებული არაერთი დასკვნა ზოგადი ხასიათისაა ანდა არ შეიცავს მსჯელობას თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიდა სასამართლო ამ დაშვებამდე“ – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებაში.

ამავე განცხადების თანახმად, მოსამართლეს არ უმსჯელია, რამდენად იყო კომპანიის დირექტორის ქმედება სამეწარმეო სამართლით შესაფასებელი კატეგორია. კერძოდ, მას უნდა დაედგინა მოქმედებდა თუ არა დირექტორი სამეწარმეო განსჯის წესის ფარგლებში და დარღვეული იქნა თუ არა დირექტორის ფიდუციური ვალდებულება (ზრუნვის, კეთილსინდისიერებისა და ერთგულების მოვალეობა). მხოლოდ აღნიშნული საკითხების შემოწმებისა და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი იმის შეფასება, თუ რამდენად არსებობდა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის რელევანტური საფუძველი.

„გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ ავტომობილის ფაქტობრივ მფლობელობაში მიღებასთან დაკავშირებით სასამართლო წინააღმდეგობრივ დასკვნას აკეთებს. მოსამართლე განმარტავს, რომ ნიკა გვარამიას შეეძლო ავტომობილი პრემიის სახით მიეღო, თუმცა მან კომპანიისათვის საზიანო დანაშაულებრივი სქემა აირჩია. გაუგებარია, რატომ უნდა გაუჩნდეს ადამიანს დანაშაულის ჩადენის განზრახვა იმ შედეგის მისაღწევად, რაც მას კანონიერი გზითაც შეუძლია მიიღოს. მოსამართლის განმარტებით, პრემიის გამოწერის გზით ავტომანქანის მიღება მართლზომიერი იქნებოდა, ხოლო ხელშეკრულების დადებით „რუსთავი 2“-ს მატერიალური ზიანი მიადგა. გაუგებარია, როგორ მივიდა სასამართლო ამ დასკვნამდე, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ პრემიის მიღების შემთხვევაში ტელეკომპანიას შესაძლოა ნაკლები შემოსავალი მიეღო. გარდა ამისა, სასამართლომ არ იმსჯელა ნიკა გვარამიას მოტივაციასა და განზრახვის ელემენტზე – ამ საკითხზე განაჩენში სიღრმისეული და საკმარისი დასაბუთება არ არის.

საპატიმრო სასჯელის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, თავისუფლების აღკვეთის გარდა, სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს და შინაპატიმრობას. სასამართლო სასჯელის განსაზღვრის დასაბუთებას მხოლოდ ერთ აბზაცს უთმობს. მოსამართლემ განმარტა, რომ ჯარიმის დაკისრება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან ნიკა გვარამიამ ჯარიმის გადახდაზე დეკლარირებულად განაცხადა უარი, ხოლო შინაპატიმრობის გამოყენებით ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი ვერ იქნებოდა დაზღვეული. ამგვარი განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნო დასაბუთებად, რადგან, 2015 წლის ეპიზოდში მოსამართლემ სასჯელის სახედ სწორედ ჯარიმა გამოიყენა. გაუგებარია, ბრალდებულის განმარტებამ როგორ მოახდინა გავლენა მხოლოდ ერთ ეპიზოდზე, სასჯელის დანიშვნაზე. გარდა ამისა, 2015 წლის ეპიზოდზე, სადაც ბრალდების მტკიცებით, ტელეკომპანიისათვის მიყენებული ზიანი დაახლოებით 100-ჯერ მეტი იყო, მოსამართლემ ჯარიმა გამოიყენა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჯარიმის დანიშვნისა და ნიკა გვარამიას მიერ მისი გადაუხდელობის შემთხვევაში სამომავლოდ შესაძლებელი იქნებოდა უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების სამართლებრივი შესაძლებლობა.

რაც შეეხება შინაპატიმრობის გამოყენების მიზანშეუწონლობას, გაუგებარია, სასამართლო რომელი დანაშაულის ჩადენის რისკზე მიუთითებს. იგი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის და დამაჯერებელ დასაბუთებად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნიკა გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო ჰქონდა შეფარდებული და საქმის თითქმის სამწლიანი განხილვის განმავლობაში მას გირაოს პირობები არ დაურღვევია“ – ნათქვამია განცხადებაში.

შოთა თუთბერიძე: „მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო ისტორიას საექსპერტო დაწესებულებას გადავცემთ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, შოთა თუთბერიძის განცხადებით, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებული არ არის.

თუთბერიძის განმარტებით, პრობლემად რჩება უცხოელი ექსპერტების მოწვევისა და მათი ლიცენზიების საკითხი.

– გამოთხოვილი სამედიცინო ისტორია ავიღეთ. კლინიკას ოპერატიული მუშაობისთვის მადლობას ვუხდი. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, ის კვლავინდებურად იგივეა, თუმცა, ამ სამედიცინო ისტორიას განახლებული ფორმით გადავცემ საექსპერტო დაწესებულებას და იმედი მაქვს, ეს მათ ექსპერტიზის უფრო სწრაფად ჩატარებაში დაეხმარება.

ასევე პრობლემად რჩება ამ დრომდე უცხოელი ექსპერტების მოწვევისა და მათი ლიცენზიების საკითხი. იმედი გვაქვს, ეს პრობლემაც მოგვარდება და საექსპერტო დაწესებულება შეძლებს, რომ ძალიან ავტორიტეტული, ძალიან კვალიფიციური უცხოელი ექსპერტები მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად საქართველოში მოწვეული იყვნენ.

ჩვენ ველოდებით იმას, რომ რამდენიმე პოლიტიკური ძალიდან ეცდებიან ექსპერტიზის დასკვნის დისკრედიტაციას, იმისთვის, რომ ეს მცდელობა იყოს რაც შეიძლება უსუსური, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ამ საქმეში კვალიფიციური ექსპერტები ჩავრთოთ და საექსპერტო დაწესებულების ინტერესიც, ბუნებრივია, ეს არის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ექსპერტი არის ძალიან ავტორიტეტული, ძალიან სანდო და ძალიან პატივსაცემი ადამიანი, საექსპერტო დაწესებულება ზოგჯერ თვლის და აქვს ამის უფლება, რომ სხვა სპეციალისტები მოიწვიოს, მათ შორის, უცხოეთიდან და მათ შორის, ადგილობრივი სამკურნალო დაწესებულებიდან.

ეს არის მიღებული პრაქტიკა, ეს არის მხარის უფლება, რომ ექსპერტიზისთვის რაც შეიძლება კარგი და პროფესიონალი სპეციალისტი მოიწვიოს. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ვიცით, რომ პრობლემური ხდება საკითხები, რაც არასდროს ყოფილა პრობლემა ადრე სხვა თავისუფლებააღკვეთილ პირებთან დაკავშირებით და სამწუხაროდ, პენიტენციური სამსახური მიხეილ სააკაშვილს ამყოფებს გაურკვეველ ტყვეობაში, რის გამოც, ყველა მსგავსი დეტალი დაცვის მხარისთვის სირთულე ხდება, – განაცხადა თუთბერიძემ.

რაც შეეხება სასამართლოს ნაცვლად სამედიცინო დაწესებულებაში პროცესის ჩატარებას, როგორც თუთბერიძე აცხადებს, ამას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა პატიმრის ტრანსპორტირების პრობლემაა და არა ჯანმრთელობის.

– მნიშვნელოვანია ის, რომ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე გამოცხადება და აქედან თბილისის საქალაქო სასამართლოში ტრანსპორტირება კი არ არის პრობლემა, პრობლემა არის ზოგადად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს პროცესებში მონაწილეობის მიღებას. გასვლით სხდომას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, როცა ტრანსპორტირება არის პრობლემა და არა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოცემულ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის ძირითადი სირთულე და არა მისი ტრანსპორტირება. შესაბამისად, გასვლით სხდომის ჩატარებაში მე პირადად აზრს ვერ ვხედავ, – განაცხადა თუთბერიძემ.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილთან მისი მამის, ნიკოლოზ სააკაშვილის შესვლის მოთხოვნას, როგორც ადვოკატი განმარტავს, აღნიშნული „მოთხოვნა არაერთხელაა გაგზავნილი, თუმცა, დღემდე პასუხი არ მიუღიათ“.

დავით ბერძენიშვილის მიმართ განხორციელებული დევნის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ, დავით ბერძენიშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მის მიმართ ძალადობით განხორციელებული დევნის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 6 ივნისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ბრალდებულმა დავით ბერძენიშვილის მიმართ ამ უკანასკნელის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, განახორციელა დევნა ჩადენილი ძალადობით.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ადამიანის დევნა მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით) წარედგინა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება გრძელდება“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

20 წლამდე ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს

მარნეულში, აეროდრომის დასახლების მიმდებარედ, ახალგაზრდა კაცი გარდაცვლილი იპოვეს.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 21 წლამდე კაცის ცხედარი ექსპერტიზაზეა გადაყვანილი.

გავრცელებული ცნობით, ახალგაზრდა კაცს მოტეხილობები აღენიშნება.

როგორც „ინფო რუსთავს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„ბორჯომში“ გაფიცვა და პიკეტი გრძელდება

კომპანია „ბორჯომში“ გაფიცვა და ქარხნების შესასვლელების პიკეტი გრძელდება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციის მობილიზება ბორჯომში შიდა ქართლიდან და იმერეთიდან მოახდინა. ისინი ქარხნების გარე და შიდა პერიმეტრებზე არიან განლაგებული.

ადმინისტრაციას ჯერ არ უცდია სამსახურში შეეყვანა ის თანამშრომლები, რომლებიც გაფიცვას არ უერთდებიან. ბაზარზე კი „ბორჯომის“ დეფიციტი იქმნება.

7 ივნისს მედიაციის მცდელობა იყო, თუმცა პროცესი უშედეგოდ დასრულდა.

– იყო გუშინ მედიატორებთან შეხვედრა, რომელიც არანაირი შედეგით არ დასრულდა. ისევ იგივე ხდება, იგივე წინადადებები აქვთ მათ, რომლებიც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. ადამიანები, რომლებიც შანტაჟში, მუქარაში, დაშინებაში არიან ბრალდებულები ჩვენი მხრიდან, მათთან ჩვენ არანაირი კავშირი არ გვაქვს, ეს ადამიანები უნდა გავიდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება პროცესი, – ამბობს პროტესტის ერთ-ერთი მონაწილე.

ხელფასების ზრდა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და 50 გათავისუფლებული თანამშრომლის აღდგენა – ესაა ის ძირითადი მოთხოვნები, რის გამოც ასობით ადამიანი გაიფიცა.

„მთავარის“ ინფორმაციით, მათ პროფკავშირების წარმომადგენლები სხვა რეგიონებიდანაც შეუერთდებიან.

ბათუმში 19 წლის გოგო ქორწინების მიზნით გაიტაცეს

დაკავებულია 2 პირი

ბათუმში 19 წლის გოგო ქორწინების მიზნით გაიტაცეს. შემთხვევა 7 ივნისს მოხდა, რის შემდეგაც, სამძებრო სამუშაოები მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო.

დღის ბოლოს, ავტომობილი ზუგდიდში იპოვეს. პოლიციამ 2 პირი დააკავა, ერთმა კი მიმალვა მოახერხა. გოგონა და გამტაცებლები ბათუმში, გამოკითხვაზე გადაიყვანეს.

უკრაინა ხერსონის ოლქში წარმატებულ კონტრშეტევებს ახორციელებს

რუსეთი სევეროდონეცკზე თავდასხმის მცდელობებს სამი მხრიდან აგრძელებს, თუმცა უკრაინის თავდაცვა აკავებს მათ.

ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ყოველდღიურ ანგარიშშია აღნიშნული.

უწყების მტკიცებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მხარემ, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მნიშვნელოვან წინსვლასა და წარმატებას მიაღწია.

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი კონცენტრირებულია დონბასის ცენტრალურ სექტორზე, ის თავის ფლანგზე კვლავ თავდაცვაზე რჩება“ – აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

ამასთან, მათივე ინფორმაციით, უკრაინულმა ძალებმა ცოტა ხნის წინ მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას კონტრშეტევებით ხერსონის ოლქში, მათ შორის დაიბრუნეს საყრდენი პუნქტი მდინარე ინგულეცის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

„ოკუპირებულ ხერსონის ოლქში, რუსეთი ოლქის ადმინისტრაციას იძულებით უერთებს რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციას რუსული რუბლის შემოღებით, სკოლებში რუსი მასწავლებლების დასაქმებით, რუსული სასწავლო გეგმისა და ენის დამკვიდრების მიზნით.

რუსეთი, დიდი ალბათობით, ხერსონის ოკუპაციას გამოაცხადებს, როგორც უკრაინელი ხალხისთვის გაუმჯობესებული მმართველობისა და ცხოვრების სტანდარტების მიწოდების მტკიცებულებას“ – აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

ანგელა მერკელი: „არ აქვს გამართლება რუსეთის მიერ უკრაინაში საერთაშორისო სამართლის სასტიკ უგულებელყოფას“

გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ იგი, თანამდებობაზე ყოფნის დროს, უკრაინაში საომარი სიტუაციის თავიდან აცილებას ცდილობდა.

მანვე დასძინა, რომ თავს არ ადანაშაულებს იმაში, რომ ამისთვის საკმარისად არ ცდილობდა.

ამის შესახებ მერკელმა გერმანელ ჟურნალისტთან ალექსანდრე ოსანგთან თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, პირველ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, როდესაც მან უკრაინაში მიმდინარე ომზე ისაუბრა.

– დიდად სამწუხაროა, რომ ეს არ გამოვიდა, მაგრამ მე საკუთარ თავს არ ვადანაშაულებ, რომ არ შევეცადე, – განაცხადა მერკელმა.

გარდა ამისა, გერმანიის ყოფილმა ლიდერმა დასძინა, რომ არ აქვს გამართლება რუსეთის მიერ უკრაინაში „საერთაშორისო სამართლის სასტიკ უგულებელყოფას“.

მერკელმა აღნიშნა, რომ ის უკრაინის ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო, რადგან მას რუსეთთან შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილება სურდა. გერმანიის კანცლერის განცხადებით, უკრაინა არ იყო მზად ნატოს წევრობისთვის.

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ადრე ანგელა მერკელი და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი 2008 წელს უკრაინის ნატოში გაწევრიანების დაბლოკვის გამო გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ეს იყო აშკარა „არასწორი გათვლა“, რამაც გაათამამა რუსეთი.

პოლონეთის პრემიერმა უკრაინაში დიდი ოდენობით იარაღის გაგზავნის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერა

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ ხელი მოაწერა შეთანხმებას უკრაინაში შეიარაღების მიწოდების შესახებ და განაცხადა, რომ ეს წარმოადგენს უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში იარაღის ყველაზე მასშტაბურ ექსპორტს.

მისი თქმით, ეს არის ერთ-ერთი დიდი, თუ უდიდესი არა, კონტრაქტი შეიარაღების ექსპორტის შესახებ.

– ეს არის დროის მიერ გამოცდილი იარაღი, ზედმიწევნით შემოწმებული, რომელიც არა მხოლოდ ცეცხლით ნათლობას გაივლის, არამედ, როგორც ახლა ჩვენ ვიცით, ძალიან მნიშვნელოვანი იარაღი იქნება აღმოსავლეთ უკრაინაში, – განაცხადა მორავეცკიმ პოლონეთის ქარხანა ჰუტა სტალოვა ვოლაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის მარგალიტი უწოდა.

ირანში მატარებელი ექსკავატორს შეეჯახა

17 ადამიანი დაიღუპა

ირანში მატარებელი რელსებიდან გადავიდა, რის შედეგადაც 17 მგზავრი გარდაიცვალა, ხოლო ათეულობით მგზავრი კი – დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

მედიის ცნობით, მატარებელს 350-მდე მგზავრი გადაჰყავდა. ადგილზე სასწრაფო დახმარების მანქანების, სამი შვეულმფრენისა და სამაშველო ჯგუფების მობილიზება მიმდინარეობდა.

ამასთან, როგორც ცნობილია, შემთხვევა ქალაქ ტაბასამდე 50 კილომეტრის მანძილზე არსებულ რკინიგზაზე მოხდა, რომელიც ქალაქს, ცენტრალურ ქალაქ იეზდთან აკავშირებს.

რკინიგზის წარმომადგენელმა ადგილობრივ მედიას განუცხადა, რომ რელსებიდან გადასვლის მიზეზი მატარებლის ექსკავატორთან შეჯახება გახდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მკვლელი ვეშაპები იახტას თავს დაესხნენ და საჭე დაუზიანეს

პორტუგალიის სანაპიროსთან კასატკები, რომლებიც ასევე მკვლელი-ვეშაპების სახელითაც არიან ცნობილნი, იახტას თავს დაესხნენ და დააზიანეს.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მეთ ჯონსტონი იახტით ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბელფასტიდან ესპანეთის ქალაქ ალმერიაში მიემგზავრებოდა. მის ხომალდს კასატკების გუნდი თავს დაესხა და 40 წუთის განმავლობაში მას გამუდმებით უტევდნენ. საბოლოოდ მათ იახტის საჭის მოტეხა და სხვა სერიოზული დაზიანებების მიყენება მოახერხეს.

– ერთ მომენტში დავინახე, რომ ერთ-ერთ მათგანს საჭის ნაწილი მიჰქონდა. ის მას მიჰქონდა, როგორ მოპოვებული ტროფეი და შევშინდი, რომ მასზე უფრო მოზრდილი კასატკები ხომალდს კიდევ უფრო მეტად დააზიანებდნენ, – აღნიშნა ჯონსტონმა. მან იქვე დაამატა, რომ ამიერიდან ის ამ წყლებში ცურვას მოერიდება. მას ამ ინციდენტის შედეგად დაზიანებული იახტის აღსადგენად 10 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტის დახარჯვა მოუწია.

მამაკაცმა ნიანგი შიშველი ხელებით მოიგერია

მალაიზიის ქალაქ კუჩინგის მკვიდრმა ნიანგის თავდასხმისგან თავის გადარჩენა მოახერხა.

რეპტილია 54 წლის ბორი ჯალის თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ის საკუთარი სახლის ფასადის შეკეთებით იყო დაკავებული, რომელიც მდინარის ნაპირთან მდებარეობს. თავის გადასარჩენად ჯალიმ რეპტილიას თავში მუშტები დაუშინა. რამდენიმე დარტყმის შემდეგ ნიანგმა ყბები გახსნა და შემდეგ თავს გაქცევით უშველა.

ეს ყოველივე მამაკაცის მეუღლის თვალწინ ხდებოდა. შემდეგ შემთხვევის ადგილზე მათმა 25 წლის ქალიშვილმა მოირბინა.

– დედის ძახილი გავიგონე: „ეი, მამაშენს თავს ნიანგი დაესხა!“ – განაცხადა მამაკაცის ქალიშვილმა.

თუმცა მამაკაცს დახმარება აღარ დასჭირდა, ვინაიდან მან თავად მოახერხა რეპტილიის შიშველი ხელებით მოგერიება. აღნიშნული ინციდენტის შედეგად ჯალიმ სხეულზე დაზიანებები მიიღო. მას საჭირო სამედიცინო დახმარება უახლოეს საავადმყოფოში აღმოუჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

გიორგი ცუცქირიძე სტად ფრანსეში ითამაშებს

ბორჯღალოსანთა მესამეხაზელმა გიორგი ცუცქირიძემ ტოპ 14-ის პარიზულ კლუბ სტად ფრანსესთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

25 წლის მორაგბის ხელში ჩაგდებას პარიზელები 2 წელი ცდილობდნენ, მაგრამ ჯერ პანდემიამ და შემდეგ ტრავმამ ტრანსფერი შეაფერხა. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობის სურვილი იმდენად დიდი იყო, ქართველს გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ დაუკავშირდნენ და ის ახალ სეზონს „სტად ჟან-ბუაზე“ დაიწყებს.

გიორგი ცუცქირიძე:

– პარიზელებთან დიდი ხანია კონტაქტი მაქვს. მათი შერკინების მწვრთნელი პირველად 2020 წელს დამიკავშირდა. შემდეგ კოვიდ-პანდემია დაიწყო და ტრანსფერი არ შედგა. ამ ყველაფერს ტრავმაც დაერთო – ჯვარედინი მყესი გავიწყვიტე. მუხლთან ერთად მხრის ოპერაციაც გავიკეთე. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ახალ კონტრაქტს არავინ შემომთავაზებდა. წელს ორიაკში კარგი სეზონი მქონდა. როგორც ჩანს, სტად ფრანსე მაკვირდებოდა, კიდევ ერთხელ დამიკავშირდა კონტრაქტიც გავაფორმე.

სტად ფრანსე ისტორიული, 1883 წელს დაარსებული კლუბია და ჩემთვის დიდი პატივია მასთან 2-წლიანი კონტრაქტის გაფორმება. ვეცდები, რომ იმედები გავამართლო და პირველსავე სეზონში, რაც შეიძლება ბევრი თამაში ჩავატარო. კლუბში ინტეგრაცია არ უნდა გამიჭირდეს, რადგან იქ 2 ქართველი – ვასილ კაკოვინი და გიორგი მელიქიძე დამხვდებიან. გარდა ამისა, გუნდში 2 ფრანგი მორაგბეა, რომლებთან ერთადაც ორიაკში ვთამაშობდი და თავს უცხოდ ნამდვილად არ ვიგრძნობ.

ცუცქირიძე საფრანგეთში 2015 წელს გადავიდა და 2 სეზონი ბრივში გაატარა, 2017 წლიდან ორიაკს შეუერთდა და მის ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

– ორიაკში ყველა თბილად დამემშვიდობა. კლუბის პრეზიდენტმა, მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა წარმატებები მისურვეს და გულთბილი გაცილება მომიწყვეს. აქ დიდი დრო გავატარე და გული მწყდება, აქაური გარემოს დატოვება რომ მიწევს, მაგრამ პროფესიონალი ვარ და განვითარებისთვის, ახალი გამოწვევებისთვის, სჯობს კარიერა ტოპ 14-ში, სტად ფრანსეში გავაგრძელო.

შეგახსენებთ, რომ ცუცქირიძეს სანაკრებო დებიუტი 2017 წელს, ბელგიასთან შედგა და 245-ე „ბორჯღალოსანი“ გახდა. მის ანგარიშზე 24 კეპი და 3 გატანილი ლელოა.

სამკაცა საკალათბურთო ნაკრები ევროპის თასზე ვერ გავიდა

საქართველოს 3X3 კალათბურთელთა ნაკრები ევროპის თასის საკვალიფიკაციო ჯგუფიდან ვერ გავიდა. შესაბამისად, დავით გასიტაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა კონტინენტის პირველობაზე გასასვლელი შანსი დაკარგა. ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში 3 ივნისს გამართული ჯგუფური ეტაპის მატჩები ქართველებმა შვეიცარიასთან და სლოვაკეთთან დათმეს და მეოთხედფინალში ვერ გავიდნენ.

ტურნირში მთლიანობაში 11 გუნდი მონაწილეობს, რომელთაგან ევროპის ჩემპიონატის საგზური ფინალისტებს ერგებათ. საქართველოს ნაკრებმა 3-გუნდიან ჯგუფში შვეიცარიასთან 14:22 წააგო, რის შემდეგაც ჯგუფიდან გასვლის შანსი შერჩა, რისთვისაც სლოვაკეთის დამარცხება მართებდა. მართალია, გასიტაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ სლოვაკეთთან ბრძოლა დამატებით დროში დათმო – 17:19. შეხვედრის ძირითადი დრო 17:17 დასრულდა, რის შემდეგაც სლოვაკებმა ორქულიანი ჩააგდეს და გამარჯვება გაიფორმეს.

ჩვენი ნაკრების ღირსებას გიორგი კორსანტია, ნიკოლოზ დარბაიძე, ილია ლონდარიძე და ლუკა მაზიაშვილი იცავდნენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

დათვი ტაძრიდან მომავალ წყვილს თავს დაესხა და დახოცა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ პანას მახლობლად დათვი თავს დაესხა ოჯახურ წყვილს და დაგლიჯა.

43 წლის მუკეშ რაი და მისი 39 წლის მეუღლე გუდია დილით ტაძარში სტუმრობის შემდეგ, რომელიც მათი სახლიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში მდებარეობს, ბრუნდებოდნენ, როდესაც მათ თავს დაესხა ტუჩა დათვი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო დათვად ითვლება.

წყვილი ცდილობდა ერთიანი ძალით მოეგერიებინა მტაცებლის თავდასხმა, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და დათვის მიერ მიყენებული დაზიანებებისგან დაიღუპნენ. ადგილობრივების თქმით, მტაცებელმა ისინი დაგლიჯა, რის შემდეგაც ოთხი საათის განმავლობაში მათ სხეულს შეექცეოდა.

მომხდარიდან რამდენიმე საათში შემთხვევის ადგილზე სატყეო მეურნეობის სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ. მათ ორი საათი დასჭირდათ ტრანკვილიზატორის გამოყენებით დათვის დასაძინებლად. ის გალიაში მოათავსეს და, სავარაუდოდ, რომელიმე ზოოპარკს გადასცემენ. ხოლო დაღუპული წყვილის ახლობლებს კომპენსაციის სახით 400 ათას რუპიას გადასცემენ.

ქალმა უცნობის რჩევა გაითვალისწინა და გამდიდრდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა ქალმა უცნობის მოულოდნელ რჩევას ყური უგდო და ლატარიაში ოთხი მილიონი დოლარი მოიგო.

54 წლის ქალის თქმით, ის მეუღლესთან ერთად ავტოგასამართ სადგურთან გაჩერდა და იქ მდებარე მაღაზიაში შევიდა. როდესაც წყვილი სალაროსთან რიგში იდგა, უცნობმა მათ დროის გასაყვანად 30-დოლარიანი ლატარიის ბილეთის ყიდვა ურჩია და დაარწმუნა, რომ ისინი უეჭველად მოიგებდნენ ოთხ მილიონ დოლარს.

უცნობის ნათქვამმა ცოლ-ქმარი მცირე ხნით ჩააფიქრა, შემდეგ კი მისი რჩევა გაითვალისწინეს. მათ ბილეთზე დამცავი ფენა უკვე საკუთარ მანქანასთან მისულებმა გადაფხიკეს და უცნობის მიერ შეპირებული მოგება აღმოაჩინეს.

– თავიდან ეჭვი შეგვეპარა, რომ ყველაფერი სწორად გავიგეთ და გადავწყვიტეთ, ბილეთი სახლში კარგად გვენახა, – ამბობს ქალი.

ეჭვების გასაფანტად ქალი ლატარიის ორგანიზატორის ოფისში მივიდა, სადაც მას მოგება დაუდასტურეს. გამარჯვებულ ქალს შეეძლო, მთელი თანხა ნაწილ-ნაწილ 30 თვის განმავლობაში მიეღო ან, მოგებული თანხის ნაწილის დათმობის სანაცვლოდ – დაუყოვნებლივ. ქალმა მეორე ვარიანტი არჩია და 2,5 მილიონი დოლარი მიიღო.

ასზე მეტი კაკადუ ხეებიდან ჩამოვარდა და დაიღუპა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატში ასზე მეტი კაკადუ დაიღუპა მასობრივი მოწამვლის შედეგად.

დაღუპული ფრინველები კირსტი რამადანმა აღმოაჩინა, გარეული ცხოველების თავშესაფრის დამაარსებელმა. ის ამტკიცებს, რომ ვიქტორიას შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ბარმას ეროვნულ პარკში ყველგან ეყარა დაღუპული და მომაკვდავი კაკადუები. ზოგიერთი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ისინი რამდენიმე საათში დაიღუპნენ. რამადანმა რამდენიმე დაღუპული ფრინველი ეჩუკას ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიტანა, სადაც მათი გაკვეთა მოხდა. გაკვეთამ ფრინველების კუჭსა და ნაწლავებში ძლიერი სისხლდენა გამოავლინა. რამადანის აზრით, მათი დაღუპვა ძლიერმა მოწამვლამ გამოიწვია.

– ფრინველები ხეებიდან ცვიოდნენ და კვდებოდნენ, ან მიფრინავდნენ და ცვიოდნენ მდინარე მიურეიში. შეჯგუფულები იყვნენ გუბეებთან წყურვილის მოსაკლავად, რაც ასევე მოწამვლის სიმპტომებს წარმოადგენს, – განმარტა რამადანმა. შტატის ბუნების დაცვის მარეგულირებელმა ორგანომ განაცხადა, რომ კაკადუების მასობრივი დაღუპვის საქმის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

მაკედონიელები გვემუქრებიან

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიაშია და ერთა ლიგის ც დივიზიონის ჯგუფის მე-3 ტურის მატჩისთვის ემზადება.

თავად მაკედონიელებს საქართველო კარგად ახსოვთ, ანდა როგორ არ ემახსოვრებათ – ჩვენთვისაც და მათთვისაც ისტორიული მატჩი მოგვიგეს. ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელი თამაში თბილისში 0:1 წავაგეთ. იმ ავადსახსენებელი თამაშის გარდა, მაკედონიელებს კიდევ ორჯერ შევხვდით და ორივე ერთნაირი ანგარიშით, 1:1 დასრულდა.

დიდ გულზე არიან მაკედონიელი ფეხბურთელებიც – გერმანული შტუტგარტის შემტევი დარკო ჩურლინოვი გამარჯვებას გეგმავს. მის აზრს იზიარებს მილან რისტოვსკიც.

დარკო ჩურლინოვი:

– ჩვენს შესაძლებლობებში დარწმუნებულები ვართ. ვიცით, რომ საქართველო ძლიერი მეტოქეა, მაგრამ თუ იმ დავალებებს შევასრულებთ, რაც მწვრთნელმა მოგვცა, საქართველოსთან მატჩში პრობლემები არ გვექნება. ახლა მხოლოდ საქართველოსთან მატჩზე ვფიქრობთ. არ ვფიქრობ, რომ ერთი კონკრეტული მატჩია გადამწყვეტი. ჩემი აზრით, ყველა შეხვედრა გადამწყვეტია. ყველა შეხვედრა უნდა მოვიგოთ, მათ შორის, საქართველოსთან. ჩვენი მიზანი ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაა.

მილან რისტოვსკი:

– საწყის 2 თამაშში ჩვენი ოსტატობა ვაჩვენეთ, მაგრამ, ვფიქრობ, გაცილებით მეტი შეგვიძლია და ამას უახლოეს შეხვედრებში დავამტკიცებთ. საქართველომ 2 მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და საკუთარი თავის რწმენა გაუძლიერდა. აქედან გამომდინარე, რთული მატჩი გველის. პლუს, მეტოქე ჩვენს წინაალმდეგ მოტივირებულია. საქართველო 1-ელი ადგილისთვის იბრძვის, მაგრამ ჩვენი მწვრთნელის იდეებისა და საკუთარი კლასის გვჯერა. ქართველებთან გამარჯვების ჟინი უნდა ვაჩვენოთ, ვიბრძოლოთ, ვიყოთ აგრესიულები და ჩვენი ყველა ძლიერი თვისება გამოვამჟღავნოთ. საკუთარი თავის და გუნდური სულისკვეთების უნდა გვწამდეს.

სავარაუდოდ, მაკედონიელებს მეორე რისტოვსკი – სტეფანი დააკლდება, რომელიც მცველია და ხვიჩა კვარაცხელიას ფლანგზე დგას. სხვა მხრივ, გამოძახებულთა შორის მეტოქეს პრობლემები არ აქვს.

გუშინ ჩვენმა გუნდმა ტოშე პროესკიზე ივარჯიშა, დღეს კი, გუნდები ამავე სტადიონზე ითამაშებენ.

საქართველოს ნაკრებშიც კარგი განწყობაა და ვილი სანიოლის გუნდიც იმედიანად არის. 29 ფეხბურთელი, რომელიც სანიოლმა ამ მატჩებისთვის შეკრიბა, ჯანმრთელად არის და მატჩის გამოტოვება არ ემუქრებათ. თუმცა, ყველა მათგანი განაცხადში ვერ მოხვდება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია). ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგი, ავსტრია), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), სოლომონ კვერკველია (გაგრა), გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე, ირაკლი აზაროვი (ყველა დინამო ბთ);

ნახევარდაცვა: საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ხვიჩა კვარაცხელია, ზურიკო დავითაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ყველა დინამო ბთ), ვაკო გვილია (რაკუვი, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), გიორგი ჩაკვეტაძე (ჰამბურგი, გერმანია), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ვისლა, პოლონეთი), ვაკო ყაზაიშვილი (ულსანი, ს.კორეა);

თავდასხმა: ბუდუ ზივზივაძე (უიპეშტი, უნგრეთი), ბექა მიქელთაძე (ნიუკასლი, ავსტრალია), გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია).

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს მატჩი 9 ივნისს, 22:45 საათზე დაიწყება.

უკრაინამ საქართველოსთვის მზადება დაიწყო

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მატჩები ახლოდება. მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ილიას ზუროსის განვრთნილმა გუნდმა აქამდე გამართული 4 მატჩიდან 3 მოიგო, დარჩენილი კი, 2 შეხვედრა აქვს – 1 ივლისს, უკრაინასთან ლატვიაში და 4 ივლისს, ესპანეთთან თბილისში.

უკრაინა, ქვეყანაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, საშინაო მატჩებს ვერ მასპინძლობს და შეხვედრებს ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩაატარებს. მოგეხსენებათ, უკრაინას ლატვიაში სოლიდური დიასპორა ჰყავს და თან მათი მთავარი მწვრთნელიც ლატვიელია – აინარს ბაგატსკისი.

ცნობილია, რომ ბაგატსკისის ნაკრები რიგაში 11 ივნისამდე დარჩება, შემდეგ მზადებას იტალიურ როზეტო დელე აბრუციში განაგრძობს, მომდევნო საწვრთნელ ეტაპს 22-დან 26 ივნისამდე პორტუგალიურ ვიანა დუ კაშტელუში გაივლის და ამხანაგურად პორტუგალიასა და სლოვაკეთს შეხვდება, 26 ივნისიდან კი, ლატვიას დაუბრუნდება.

ამ მომენტისთვის უკრაინის ნაკრებში 14 კალათბურთელი ვარჯიშობს: ილია სიდოროვი, ვიტალი ზოტოვი, ალეკსანდრ კოვლიარი, ილია ტირტიშნიკი, პაველ კრუტოუსი, ანატოლი შუნდელი, ანდრეი ვოინალოვიჩი, ივან ტკაჩენკო, არტიომ კოვალიოვი, სერგეი პავლოვი, იგორ სერგეევი, ვიაჩესლავ ბობროვი, ვიაჩესლავ კრავცოვი, დმიტრი სკაპინცევი.

უკრაინელებს უახლოეს პერიოდში ის კალათბურთელები შეუერთდებიან, რომელთაც საკლუბო სეზონი ჯერ არ დაუსრულებიათ: ბაგატსკისი 9 ივნისს ელის იუსუფ სანონს, 11-ში – არტიომ პუსტოვოის, ალეკსანდრ მიშულასა და დენის ლუკაშოვს, 15-ში კი – ალეკსანდრ ლიპოვსა და ვიაჩესლავ პეტროვს. ჯერჯერობით, გაურკვეველია, ვიხილავთ თუ არა ნაკრებში ბოგდან ბლიზნიუკს, ჯერომ რენდლსა და ნბა-ში მოთამაშე უკრაინელებს – ალეკსეი ლენსა და სვიატოსლავ მიხაილიუკს.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ივლისის საკვალიფიკაციო ფანჯრის დროს გაირკვევა, მოახერხებს თუ არა უკრაინის საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაციაში მე-2 ჯგუფურ ეტაპზე გასვლას. ამ დროისთვის, ჯ ჯგუფს 4-დან 3 მოგებით საქართველო ლიდერობს, შემდეგ კი ესპანეთი (3-დან 3 გამარჯვება) მოდის. ამ 2 ნაკრებს მომდევნო რაუნდის საგზური უკვე განაღდებული აქვს, მე-3 იღბლიანის ვინაობა კი უკრაინასა (1 მოგება, 2 წაგება) და ჩრდილოეთ მაკედონიას (4 მარცხი) შორის გაირკვევა.

ლაშა ტალახაძე: „მადლობა უფალს, უკვე 6-გზის ევროპის ჩემპიონი ვარ“



ალბანეთში გამართულ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ლაშა ტალახაძემ კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენის ტიტული მეექვსედ მოიგო. ტალახაძემ ეს ტრავმირებულმა მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ +109 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ლაშა ტალახაძემ ატაცში 217 კილოგრამი დაძლია და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. აკვრაში 245 კგ-ს გაუმკლავდა, 253 კი, ვერ დაძლია და მე-3 ცდა აღარ გამოიყენა.

ქართველმა ძალოსანმა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პირველი კომენტარი გაავრცელა.

ლაშა ტალახაძე:

– კიდევ ერთი ევროპის ჩემპიონატი დავასრულეთ. როგორც საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა, მინდა მივულოცო ჩემს თანაგუნდელებს კარგი ასპარეზობა და სამომავლოდაც დიდი წარმატება ვუსურვო. არ იყო ადვილი იმიტომ, რომ პირველად მივიღე ამ სიმძიმის ტრავმა. პირველად 7-წლიანი წარმატებული სტარტების შემდეგ, გაჩნდა საფრთხე, რომ შესაძლოა ევროპის ჩემპიონატზე ვერ გამოვსულიყავი. პირველად ხდებოდა, რომ ვარჯიშობდა გუნდი, მე კი მათ გვერდით, ექიმების და მწვრთნელების დამატებითი მეთვალყურეობა მჭირდებოდა, რათა ის მინიმალური გამეკეთებინა, რაც მოახლოებულ შეჯიბრზე გამოსვლის შესაძლებლობას მომცემდა. ეს იყო თამაში ნერვებსა და ფსიქიკაზე. ტრავმიდან მე-2 დღეს უკვე გამოკვლევაზე ვიყავით! მთავარი მწვრთნელის, გიორგი ასანიძის, პირადი მწვრთნელის, ავთანდილ გახოკიძის და ჩვენი ექიმის, გიორგი ჭინჭარაულის მოლაპარაკებების შედეგად, კლინიკაში დაჩქარდა სპეციალური ინექციების გაკეთება. ლევან ნაჭყებიამ, ნინო დუმბაძემ, თამაზ თამაზაშვილმა, გიორგი ლომიძემ, ზურა კახაბრიშვილმა, რუსლან ღიბრაძემ ყველაფერი იღონეს...

მიდიოდა მკურნალობა როგორც მედიკამენტოზური, ასევე ფიზიოთერაპიული მიმართულებით, მასაჟით... მომიწია 3-კვირიანი რეაბილიტაციის გავლა, სამწვრთნელო შტაბმა და სამედიცინო ჯგუფმა სპეციალური სავარჯიშო პროგრამა შეიმუშავეს, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდა უზარმაზარი ჰემატომის გაწოვა, ფიზიკური ფორმის შენარჩუნება და შეჯიბრის დღემდე მისვლა. ამიტომ, განსაკუთრებული მადლობა ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს! ჩვენ ეს შევძელით ერთად! დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ძვირფასს გულშემატკივარს, უამრავი მილოცვა და გამამხნევებელი სიტყვა მივიღე. ვიცი, რომ განერვიულეთ, შესაძლოა ზოგს რეკორდის იმედები გაგიცრუეთ, მაგრამ გპირდებით, რომ სამომავლოდ ყველაფერს გავაკეთებ თქვენს გასახარებლად! მადლობა უფალს, უკვე 6-გზის ევროპის ჩემპიონი ვარ.

შედეგები

7 ივნისი

ფეხბურთი

მრ-2022 საკვალიფიკაციო ეტაპი

აზია

საემიროები-ავსტრალია 1:2

უეფას ეროვნული ლიგა

ა დივიზიონი

გერმანია-ინგლისი 1:1

იტალია-უნგრეთი 2:1

ბ დივიზიონი

ფინეთი-ჩერნოგორია 2:0

ბოსნია-რუმინეთი 1:0

ც დივიზიონი

ლიეტუვა-თურქეთი 0:6

ფარერები-ლუქსემბურგი 0:1

ერონკოფის ეროვნული თასი

ჰონდურასი-კიურაო 1:2

გრენადა-სალვადორი 2:2

იამაიკა-სურინამი 3:1

აფრიკის ეროვნული თასი

ესვანტინი-ბურკინა ფასო 1:3

ზამბია-კომორი 2:1

კაპო ვერდე-ტოგო 2:0

რუანდა-სენეგალი 0:1

ერ-2023. საკვალიფიკაციო ეტაპი (21)

ფინეთი-აზერბაიჯანი 3:0

ლიეტუვა-ჩრ.ირლანდია 1:1

ფარერები-სერბეთი 1:1

ისრაელი-სან მარინო 2:0

ლატვია-უნგრეთი 0:2

პოლონეთი-გერმანია 1:2

ესპანეთი-მალტა 7:1

ნიდერლანდები-გიბრალტარი 6:0

ინგლისი-ალბანეთი 3:0

ლიხტენშტეინი-პორტუგალია 0:9

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იუოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ბატონ რევაზ გოგოხიას გარდაეცვალა მეუღლე

გულნაზი ჯიქია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. მსხვილი მემამულე; 5. პიროვნების გაძევება სახელმწიფოდან; 10. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხეს მმართველთა საგვარეულო; 19. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. ტერიტორიული ერთეული; 23. შაქრით, ჩაისა და ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

თარაზულად: 6. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 7. ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ს ავტორი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად; 9. თურქეთის პრეზიდენტი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ღუდის სასმისი; 20. მაყურებელთა ადგილი თეატრში; 22. ეგვიპტელი ქრისტიანები; 23. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 25. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 26. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წუღა; 2. ბენცი; 3. აღაზა; 4. სქური; 5. ოდეონი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. გინეკოლოგი; 11. მარგალიტი; 14. შაგალი; 15. ყურანი; 16. ბამბა.

თარაზულად: 1. წურბელა; 4. სქოლიოზი; 7. ღვინო; 9. განგი; 12. ბიკილა; 13. სიათა; 14. შანიძე; 17. ბაყალი; 18. პროკლამაცია; 19. ღირღიტა; 20. მაკაბი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტემპერა; 2. ენდშპილი; 3. ვირსალაძე; 4. წახნაგი; 5. მიზანთროპი; 10. მწნილი; 11. ბაპრეინი; 12. კატრანი; 13. ბარამბო; 16. მადრიგალი; 17. კალევალა; 19. აგრონომი; 21. ჰონდა; 23. ნუსხა.

თარაზულად: 6. მელანქოლია; 7. ბასკეთი; 8. გელაპი; 9. ნატამალი; 14. მაჩაბელი; 15. გუტიერეში; 18. პანტა; 20. თალმუდი; 22. ჰონვედი; 24. მონაკო; 25. ტაბლოიდი; 26. ხახული.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9634

ევრო — 3.1785

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7152

100 რუსული რუბლი — 4.8919

ამინდის პროგნოზი 9 ივნისისათვის

რობერტ ლევანდოვსკი: „მხოლოდ ბარსელონაში თამაში მსურს“

მიუნხენის ბაიერნის ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას მხოლოდ ბარსელონაში თამაში სურს და სხვა ვარიანტებს ის არ განიხილავს. გარდა ამისა, რობერტმა ბაიერნს მოუწოდა იმისკენ, რომ მას წასვლის საშუალება მისცენ:

– ბაიერნში ბევრი კარგი წელიწადი გავატარე და მინდა, რომ გუნდმა ჩემ მიმართ პატივისცემა გამოიჩინოს. ბარსელონას გარდა, სხვა ვარიანტები არ მაინტერესებს და ესპანურის სწავლა უკვე დავიწყე.



ნეიმარი: „პსჟ-სთან ერთად დიდი გეგმები მაქვს“

პსჟ-ს ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ნეიმარმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას პსჟ-სთან ერთად დიდი გეგმები აქვს და მომავალ სეზონში ის შეეცდება, რომ გულშემატკივარი გაახაროს:

– წინა რამდენიმე სეზონი ჩვენთვის არცთუ კარგი გამოდგა და ვალდებულები ვართ, რომ მაყურებელს ის მივცეთ, რასაც ისინი იმსახურებენ. მომავალი სეზონი ჩვენი უნდა იყოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნათესავების დაბადების დღეების თარიღებმა მამაკაცს სოლიდური თანხა მოაგებინა

ამერიკის მიჩიგანის შტატის უეინის ოლქის მკვიდრმა ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი ნათესავების დაბადების დღეების თარიღების წყალობით მოხსნა.

59 წლის მამაკაცი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეგულარულად თამაშობდა ლატარიას. ყოველ ჯერზე ის ბილეთში ნათესავების დაბადების დღეების თარიღებს და ასაკს მიუთითებდა.

ახლახან კი მისმა ამ სტრატეგიამ გაამართლა. მორიგი გათამაშების შედეგების შემოწმების დროს მამაკაცი მიხვდა, რომ 335,9 ათასი დოლარი მოიგო.

– სამსახურში კოლეგას დავურეკე და ვთხოვე, რომ გათამაშებაში ამოსული რიცხვები ენახა. ეს იმისთვის გავაკეთე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ არ ვცდებოდი. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც ვნახე, რომ ჯეკპოტი მოვხსენი, – ამტკიცებს ამერიკელი.

მამაკაცი მოგებული თანხის ნაწილით დავალიანებების გასტუმრებას აპირებს, ხოლო დარჩენილ ნაწილს სამომავლოდ გადადებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 ივნისისათვის

ვერძი – ვარსკვლავების არაკეთილსაიმედო განლაგება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. გამორიცხული არ არის ინფექციური დაავადებების გამწვავება. ** კურო** – მიამიტობა, მიმნდობლობა დღეს დაგაზარალებთ. უმჯობესი იქნება, თუ საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** – გელით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. წამოჭრილი პრობლემა დაუყოვნებლივ მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – წარმატებული დღეა. შესაძლოა, ძალზე სარფიანი შემოთავაზება მიიღოთ. იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი. **ლომი** – თავს სუსტად გრძნობთ. ეჭვიანობა და ბუტიაობა სერიოზულ ჩხუბში გადაიზრდება. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი იღბლიანია. იაქტიურეთ. საღამოს მოსალოდნელია პატარა კამათი ახლობელთან. **სასწორი** – თუ წინდახედულობასა და დაკვირვებულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, სერიოზულ წარმატებას მიაღწიოთ. წყენას გულში ნუ ჩაიტოვებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა სამომავლო გეგმებზე ფიქრისათვის, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ – გულს ნურავის გადაუშლით. **მშვილდოსანი** – ახალი საქმის დაწყება სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. გელით პოზიტიური ცვლილება პირად ცხოვრებაში. **თხის რქა** – ავანტიურისტებს ერიდეთ. მათთან საქმის დაჭერა ყველა გეგმას ჩაგიშლით. ფიზიკურად ნუ გადაიტვირთებით. **შერწყული** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მოსალოდნელია ტრავმები, ასევე – ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **თევზები** – გათავისუფლდით მავნე ჩვევებისაგან. აკონტროლეთ საუბრის მანერა. საკუთარ თავს მცირე სიამოვნებაზე უარს ნუ ეტყვით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– დეპუტატი წყალში რომ იხრჩობოდეს, თოკის რომელ ბოლოს გადაუგდებდი?

– ორივეს.

●●●

მამაკაცი ფსიქიატრს შესჩივის:

– ექიმო, ხელები მიკანკალებს.

– სვამთ?

– ვსვამდი.

– ეწევით?

– ვეწეოდი.

– რა, თავი დაანებეთ?

– არა, ჯერ მხოლოდ ვაპირებ.

– აი, ხედავ, ორგანიზმს კი უკვე ეშინია.

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო დაბნეული ვხდები.

– მაგალითად?

– თავად წარმოიდგინეთ, ამ დილით, სადილის დროს, კვერცხს ვაკოცე, ხოლო ცოლს შუბლში ჩაის კოვზი ჩავცხე!

●●●

მამა შვილთან ერთად ქუჩაში მიდის და უცბად ბავშვს ეკითხება:

– შვილო, ამ სკოლაში სწავლობ?

– კი, მამა.

– 20 წლის წინ მეც ამ სკოლაში ვსწავლობდი.

– ახლა ვხვდები, რას გულისხმობდა ჩვენი დირექტორი, როდესაც მეუბნებოდა, რომ ჩემნაირი უტვინო უკვე 20 წელია არ უნახია.

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს უყვება:

– მივლინებიდან სახლში დავბრუნდი, მაშინვე კარადას ვეცი – ცარიელია, საწოლის ქვეშ შევიხედე – ცარიელია, მაცივარში – ცარიელია...

– და ცოლმა რა გითხრა?

– რა ცოლი, ცოლი საერთოდ არ მყავს, სახლი გამიქურდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა: „იაფფასიან მაღაზიებში ვშოპინგობ“

ქართველი დიზაინერი დემნა დიდი სიამოვნებით საუბრობს ჟურნალისტებთან მათთვის საინტერესო თემებზე.

ლოგიკურია, რომ ყველაზე ხშირად მასმედიას დემნას დამოკიდებულება სამოსის მიმართ აინტერესებს:

– ძველი ტანსაცმელი მიყვარს. ზოგჯერ იაფფასიან მაღაზიებში ვშოპინგობ, საიტებზეც დავეძებ და ვიწერ. ძალიან მიყვარს ძველებური რაღაცების შეძენა. ჩემი ოჯახის წევრები ხუმრობენ, რომ მოხუცი ქალის გემოვნება მაქვს.

– ბავშვობაში როგორ იცვამდით?

– ბავშვობაში ჩემი ზრდასრული ბიძაშვილების გამონაცვალი ტანსაცმელი მეცვა. ყველაფერი დიდი ზომის იყო. ჩემი მშობლებიც ტანსაცმელს მომავალი 3 წლის გათვალისწინებით ყიდულობდნენ, რადგან ზრდის პროცესში ერთი რაღაცის ჩაცმა შემძლებოდა.

– გაიხსენეთ თქვენი პირველი კოლექცია...

– ჩემი პირველი კოლექცია, რომელიც საქართველოში ვაჩვენე, ძალიან პრიმიტიული იყო, მაგრამ მაინც მიხარია, რომ ეს გავაკეთე. გამოცდილება და ცოდნა არ მქონდა, თუმცა ამიერკავკასიის დიზაინ კონკურსზე მოვხვდი და მეორე ადგილი დავიკავე.

– რა არის თქვენი საქმიანობის სისწორის უპირველესი საზომი?

– მე ბრენდის ღირსებაზე ხშირად ვსაუბრობ. ჩვენი საქმიანობის სისწორის პირველი საზომი ღირსებაა. ჩემი ესთეტიკა და გემოვნება ჩემს პირად გამოცდილებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მე მას კომპანიის სამსახურში ვიყენებ.

„სუხიშვილები“ მაყურებლის თხოვნით კონცერტებს ამატებს

მაყურებლის დაჟინებული თხოვნით ანსამბლი „სუხიშვილები“ თბილისში კონცერტებს ამატებს.

– სამკვირიანი საგასტროლო ტურნე მსოფლიოს 5 ქვეყანაში და ბოლოს, მაყურებელთა თხოვნით, თბილისის საკონცერტო დარბაზის დიდ სცენაზე დასკვნითი კონცერტებით, 30 ივნისსა და 1 ივლისს ვბრუნდებით, – ნათქვამია ანსამბლის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.



ანი ბებია და ილო ბეროშვილი მშობლები მეორედ გახდებიან

მსახიობები ანი ბებია და ილო ბეროშვილი მშობლები მეორედ გახდებიან. წყვილი პატარას მოლოდინშია, თუმცა სქესი ჯერ არ იცის. ანის და ილოს პირველი შვილი ბიჭი – ჯერი ჰყავთ.

ილო ბეროშვილს პირველი ქორწინებიდან ნელიკო აგირბასთან 2 გოგონა ჰყავს.

მარიამ ჯოლოგუას სტუდია „იუნისეფმა“ დააჯილდოვა

მსახიობ მარიამ ჯოლოგუას მიერ დაარსებული სტუდია „ეტ ცეტერა“ იუნისეფმა დააჯილდოვა:

– „ეტ ცეტერა...“ მსოფლიოში უდიდესმა ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია იუნისეფმა დააჯილდოვა

„იუნისეფი 2022“ ჯილდო გადაეცა ბავშვთა და მოზარდთა თეატრ-სტუდია „ეტ ცეტერა...“-ს, საქართველოს ქალაქ თბილისიდან, სპექტაკლისთვის „ნეტავ არსებობს ასეთი პლანეტა?“

მოტივაცია: მარსის ბინადრებისთვის – ადამიანები, დედამიწის მოქალაქეები, მისტიკური არსებები არიან, რომლებიც ცხოვრობენ, უყვართ, ჰყავთ არაჩვეულებრივი შვილები და ოცნებობენ... მათ ატმოსფეროში, რომელიც დროსა და სივრცეში გვამოგზაურებს, სიყვარულის რწმენა და ბავშვური უმანკოება, განსაკუთრებით ამ უაღრესად რთულ ისტორიულ პერიოდში, გვეუბნება, რომ ასეთი პლანეტა მართლაც არსებობს და ის ჩვენ გვეკუთვნის.“

ბავშვთა და მოზარდთა თეატრ-სტუდია „ეტ ცეტერა...“-ს და მისი ხელმძღვანელის მარიამ ჯოლოგუას დაჯილდოების ცერემონიალი ვირტუალურად გაიმართა.

ლეილა მესხი: „ჩემი სიხარული მინდა გავუზიარო მკითხველს“

მწერალმა ლეილა მესხმა მკითხველს თავისი ახალი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით სასიხარულო ინფორმაცია გაუზიარა და კულტურის მინისტრს საჯარო წერილით მიმართა:

– რა დავმალო და ბოლო წლებში ერთობ გაძნელდა წიგნის გამოცემა. ფასებმა იმატა, ლამის შეუძლებელი გახდა. ზოგიერთები, როგორღაც ახერხებენ მდიდარ ბიზნესმენებთან დაკავშირებას, საერთო ენის გამონახვას, წიგნის გამოცემას, მე კი გამიძნელდა. არც არავის ვიცნობ და, რაც მთავარია, არც მიძებნია!

ამჟამად ჩემი სიხარული მინდა გავუზიარო მკითხველს. კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, კერძოდ, ქალბატონ თეა წულუკიანის მხარდაჭერით (იგი ხომ ღირსეული ქართველი პოეტის, ალექსანდრე შანიძის შვილიშვილია! სამარადისო ხსოვნა მას!), არც არაფერი ეშლება!

ამჟამად, როცა გამომცემლობა „მერიდიანი“ (დირექტორი კახა რუსიძე) ჩემი მოთხრობების კრებულს გამოსაცემად ამზადებს („რჩეული მოთხრობების კრებული“ -ასე ეწოდება. 40 თაბახის რაოდენობით). რაოდენ სასიამოვნო ფაქტია, რომ მის გამოცემაზე კულტურის სამინისტრო იზრუნებს. ღირსეულ თანამემამულეთა შორის, მეც დავსახელდი.

უსაზღვრო მადლობა ქალბატონ თეას, კომისიის თითოეულ წევრს მხარდაჭერისთვის, გვერდით დგომისთვის, ერთგულებისთვის!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იგავ-არაკთა მამამთავარი; 4. ჩარხზე დასამაგრებელი, მრავალსაჭრისიანი, სახარატო იარაღი; 5. ქართული მინერალური წყალი; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა; 14. ფრანგული პური; 15. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 16. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ზომის ფრინველი; 7. შიშველი, წვეტებიანი კლდე; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 12. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 13. პოპულარული ბაღრესტორანი ძველ თბილისში; 14. ბუნებრივი ნაკრძალი ახმეტის რაიონში; 17. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 18. პირობითი საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 20. იუნესკოს ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა